ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ვის აწერინებს საარჩევნო სიას ივანიშვილი





რა პირობები აქვს ღარიბაშვილს გვ.2

25 აპრილიდან

მგლის ბილიკი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




ორშაბათი, 25 აპრილი, 2016 №97 (7023) ფასი: 50 თეთრი

# აირაი: პაატა ბურჭულაძეს ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს



„ქართული ოცნება“ – 20%,
ნაციონალური მოძრაობა – 19%,
თავისუფალი დემოკრატები – 13% გვ.2

The International Republican Institute
IRI
advancing democracy worldwide

## ჯონდი ბაღათურია: „პენსიებს მთავრობის პრემიებისა და ჯიპების ხარჯზე მოვუმატებთ“

გვ.3



„საპენსიო რეფორმას 460 მილიონი ლარი ეყოფა“

## გიორგი გუგავა: „ივანიშვილი მოსკოვთან საქართველოს დამოუკიდებლობით ვაჭრობს“



„რუსეთმა საქართველოსთან საზღვრის ნაწილი გააუქმა“ გვ.5

## გიორგი მღებრიშვილი: „არ დავუშვებ პოლიციელების დაკნინებას“



გვ.2

## მამუკა გიორგაძე: „კონგრესმენის შეფასება სერიოზული გზავნილია“

გვ.4



„სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად მთავარია პოლიტიკური ნება“

ISSN 1987-9385

## ხათუნა გაგელია: „ყოლბაიას დანიშვნას მარგველაშვილიც არ ეთანხმება“



გვ.7



რატომ ცვლიან აფხაზეთის კონსტიტუციას?

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ვის აწერინებს საარჩევნო სიას ივანიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

**14 მაისს პარტია „ქართული ოცნება“ ყრილობას გამართავს. მეოცნებეები ამ დღეს დიდი შიშით ელოდებიან. საარჩევნო სიის საბოლოო ვარიანტის შედგენამდე ჯერ დიდი დროა, მაგრამ რაღაც კონტურები გამოიკვეთება, რასაც, შესაძლოა, დიდი დაპირისპირება მოჰყვეს.**

**პარტიის რამდენიმე ლიდერმა, მათ შორის თამაზ მეჭიაურმა, უკვე ღიად დააფიქსირეს თავიანთი უკმაყოფილება. მათ შესაძლოა სხვა კოლეგებიც შეუერთდნენ. მეჭიაურის მტკიცებით, ბიძინა ივანიშვილი არსებულ ვითარებას ვერ ფლობს.**

– მასთან პარტიის პირველ პირებს მათთვის სასურველი ინფორმაციები მიაქვთ. ივანიშვილი მათ ინფორმაციებს ნდობით ეკიდება, მაგრამ სხვა წყაროებითაც ახდენს მათ გადამოწმებას. ასე რომ, ის საქმის კურსშია. საარჩევნო სიასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ის მიიღებს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პიროვნებამ.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, საარჩევნო სიის შედგენა თავიდან ვიცეპრემიერ კახა კალაძეს დაავალეს, თუმცა მან სიაში ისეთი ხალხი შეიყვანა, რომელმაც ივანიშვილი გადარია. ამის შემდეგ სიის ფორმირება პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს მიანდეს, თუმცა სათქმელის თქმა კალაძესაც შეუძლია.

კალაძის გადაწყვეტილებებმა „ქართულ ოცნებაში“ უკმაყოფილება გამოიწვია. მისი აზრების გამხმოვანებელმა ირაკლი კობახიძემ, რომელსაც სიაში მოხვედრა გარანტირებული აქვს, განაცხადა, რომ სიაში სპორტსმენები აღარ იქნებოდნენ. ცოტა ხნის წინ კი, კალაძის გადაწყვეტილებით, საარჩევნო სიაში გოჩა ჯამარაულისა და მურთაზ შელიას შეყვანა მოიფიქრეს. ერთი, სავარაუდოდ, გარდაბანში იყრის კენჭს, ხოლო მეორე – გლდანში.



ბოროტი ხმები ამბობენ, რომ კალაძემ სიას, შესაძლოა, მასთან დაახლოებული კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი შემატოს.

ამ ამბავმა მოქმედი სპორტსმენი დეპუტატების განაწყენება გამოიწვია. კუნთმაგართა კატეგორიიდან პარლამენტში ძირითადად მოჭიდავეები არიან მოხვედრილი. თითქმის ყველა მათგანს მაჟორიტარული არჩევნები მოგებული აქვს. მათ ივანიშვილი კარგი თვალით უყურებს.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ახლო მომავალში ისინი კიდევ ერთხელ აპირებენ მისვლას სოლოლაკში. ერთი ასეთი ვიზიტი გასულ წელსაც განახორციელეს. მაშინ სპორტის კომიტეტი სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანის გადადგომას ითხოვდა. მთავრობისთვის გაგზავნილმა უარყოფითმა დასკვნამ შედეგი არ გამოიღო. დეპუტატები ადგნენ და ივანიშვილს ააკითხეს. ყველაფერი ლევან ყიფიანის წასვლით დასრულდა.

ახლა მათ იმის გაგება აინტერესებთ, სიაში სპორტსმენების ჩასმა ზოგადად არ შეიძლება თუ ეს მხოლოდ მოჭიდავეებზე ვრცელდება.

„ქართული ოცნების“ სიაში მოსახვედრებს ტესტირების გავლა მოუწევთ. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად უცხო ენის, კონკრეტულად კი ინგლისურის ცოდნა სახელდება. საინტერესოა, კალაძის შერჩეული ფეხბურთელები რა შეფასებას მიიღებენ ინგლისურში.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილი უკვე ადასტურებს, რომ საარჩევნო სიაში ისინიც იქნებიან. სიაში ჩასმა შესთავაზეს ნოდარ ჯავახიშვილსაც. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მან ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში გადმოინაცვლებენ საკრებულოს დეპუტატებიც. სიის ათეულში ჩასმას ითხოვს დავით ნარმანიაც. ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ კულუარებში ამბობენ რომ 8 ოქტომბერს დედაქალაქის მოსახლეობას მერის არჩევაც მოუწევს.

თავიდან ამბობდნენ, რომ მერობაზე კენჭს კალაძე იყრიდა, მაგრამ მერე ივანიშვილს გადაუფიქრებია. ერთ-ერთი ვერსიით, ამ თანამდებობაზე, შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინონ.

ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ ღარიბაშვილთან კონსულტაციების გამართვას აპირებდნენ. ეს ინფორმაცია მას მეორე დღესვე უკან წაალებინეს. ამის მიუხედავად, კულუარებში აქტიურად საუბრობენ ექსპრემიერთან მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე.



## რა პირობები აქვს ღარიბაშვილს

იმასაც ამბობენ, რომ ღარიბაშვილი მხოლოდ პირველ ნომრობას დათანხმდება, ამ საარჩევნო სიის პირველ ნომრად კი პრემიერ კვირიკაშვილს სვამენ. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ექსპრემიერს პარლამენტის თავმჯდომარეობაც შესთავაზეს, მაგრამ ის ჯერჯერობით გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს.

ამბობენ, რომ ღარიბაშვილი საკუთარი პარტიის შექმნას აპირებს. ამ მიმართულებით ჯერ ნაბიჯი არ გადადგმულა. ამის მიუხედავად, არის ვარაუდები, რომ მის გუნდში აღმოჩნდებიან „ქართული ოცნების“ სიის მიღმა დარჩენილები. მათ შორის თამაზ მეჭიაური და ომარ ნიშნიანიძეც სახელდებიან.

ახლა ყველა 14 მაისის დადგომას ელოდება. „ქართულ ოცნებაში“ ჯერ არ იციან, მივა და თუ ნაპრემიერალი ყრილობაზე.

ამ ყრილობის მიმართ დიდი მოლოდინია. ზაქარია ქუცნაშვილის განმარტებით. 3 კვირაში ბევრ პოლიტიკოსს მოუწევს დასასვენებლად წასვლა. მისი კოლეგა ელისო ჩაფიძე კი ამბობს, რომ სია არჩევნებამდე 40 დღით ადრე გამოქვეყნდება. მანამდე ზოგიერთს შეუძლია იოცნებოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეოცნებეები ლიდერებს გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას სთხოვენ. ამ პარტიაში ბევრია ისეთი, რომლებსაც პოლიტიკის გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენიათ. სიის მიღმა დარჩენის შემთხვევაში ისინი სხვა პარტიის მოძებნას აპირებენ – ამ ხალხისთვის არც პარტიების გამოცვლაა უცხო.

# გიორგი მღებრიშვილი: „არ დავუშვებ პოლიციელების დაკნინებას“

**„ტვ პირველმა“ გაავრცელა ვიდეომასალა, რომელზეც ჩანს, თუ როგორ უსწორდებიან პატრულის თანამშრომლები მოქალაქეებს.**

**შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ პატრულთან დაკავშირებით გავრცელებული ვიდეო რამდენიმე წლის წინ არის გადაღებული.**

– მე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ვაცხადებ, რომ მიმდინარეობს ქვეყნის პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია!

მე არ დავუშვებ ჩვენი პოლიციელების დაკნინების მცდელობას! არ დავუშვებ, რომ ჩემი კოლეგები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ყოველდღე რისკის ქვეშ აყენებენ, რათა კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მისია – დაიცვან ყოველი ჩვენგანის უსაფრთხოება – გახდნენ სისტემატური თავდასხმისა და მორალური ზეწოლის მსხვერპლნი.

დიახ, ჩვენ გამოვუცხადეთ უკომპრომისო ბრძოლა კრიმინალს. ამ ბრძოლაში ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად ჩვენი პოლიციელები მზად არიან, საკუთარი სიცოცხლე გაწირონ. განსხვავებით წინა პერიოდისგან, საქართველოს შს სამინისტროს მხრიდან კრიმინალის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა არ ხდება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ საქართველოს შინაგან სამინისტრო არასდროს ყოფილა საზოგადოებასა და დასავლურ სტანდარტებზე ისე ორიენტირებული, როგორც დღეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ძირეულად შეიცვალა ღირებულებები და ჩვენი ქვეყნის პოლიცია გახდა დეპოლიტიზებული, სრულად დაექვემდებარა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს, რაც არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებითაც დადასტურდა. სწორედ დასავლური ღირებულებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ნაწილია, პატივი სცე და მხარი დაუჭირო შენი ქვეყნის პოლიციას.



თუმცა, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა და, სავარაუდოდ, წინასაარჩევნო ფონზე კიდევ უფრო გააქტიურდება მიზანმიმართული შეტევა პოლიციის იმიჯზე, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითი 23 აპრილს მედიით გავრცელებული კადრებია. ამ კადრების მეშვეობით, ჟურნალისტი ცდილობს, მაყურებელი დაარწმუნოს, რომ კონკრეტულ ვიდეოფირზე თანამედროვე პოლიციის მიერ მოქალაქეზე ძალადობის ფაქტია აღნუსხული.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ვიდეომასალა არ ასახავს დღევანდელობას. ის გადაღებულია საპატრულო პოლიციის რებრენდინგამდე. ვიდეოში კარგად ჩანს, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ძველი ფორმები აცვიათ, ასევე, ფიქსირდება ძველი მარკისა და შეფერილობის ავტომანქანა „შკოდა“. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გამორიცხულია, 23 აპრილს გავრცელებული ვიდეო 2016 წლის 16 აპრილს ქ. ბათუმში მოქალაქეების დაკავებას ასახავდეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თითოეული პოლიციელის მხრიდან გადაცდომის შესაძლო ფაქტი პირად კონტროლზე მაქვს აყვანილი და შსს-ს გენერალური ინსპექცია, ასევე, პროკურატურა ამ კუთხით დიდ სამუშაოს ასრულებს. პირველ რიგში, ეს სწორედ ჩემი ინტერესია, რომ 38000-იან კოლექტივში ზუსტად გამოვავლინო სისტემისთვის ზიანის მომტანი, გამონაკლისი პირები, რათა მათ კანონის წინაშე პასუხი აგონ.

თუმცა, არამცდაარამც არ დავუშვებ, რომ ათასობით კეთილსინდისიერ, გულანთებულ პოლიციელს, რომლებიც მუხლჩაუხრელად მუშაობენ ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოების დასაცავად, დაუსაბუთებლად, სამართლებრივად გამყარებული მტკიცებულებების გარეშე ჩრდილი მიადგეთ და ვინმე, საკუთარი კერძო ინტერესების გამო, მათ დაკნინებას შეეცადოს. მე ყოველი ასეთი პოლიციელის გვერდით ვიდგები!

დიახ, არ დავუშვებ, რომ ჩვენი საზოგადოება გახდეს კრიმინალების, მათი მხარდამჭერების ინსინუაციებისა და მავანთა არაჯანსაღი წინასაარჩევნო კამპანიის მსხვერპლი!

ჩვენი პოლიცია აპოლიტიკური უწყებაა. მისი მთავარი ამოცანა ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და აღკვეთაა. თუმცა, ეს ამოცანა ვერ შესრულდება წარმატებით, თუკი პოლიციას საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნა, თუკი საზოგადოებამ მკაფიოდ არ გამიჯნა ერთმანეთისგან ტყუილი და მართალი. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ პოლიციის უსაფუძვლო დისკრედიტაცია და მისი დაკნინების მცდელობა – პირდაპირ საშიშროებას უქმნის ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სიმშვიდესა და უსაფრთხოებას. ეს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, რაზეც ყოველ ჩვენგანს ადეკვატური პოზიცია უნდა გვქონდეს.

ჩემო პოლიციელებო, დებო და ძმებო, მე მჯერა თქვენი და მსურს, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი თანადგომა და მხარდაჭერა! ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავდგეთ უფრო მაღლა, ვიდრე მავანთა არაკეთილსინდისიერი მიზნებით განხორციელებული პროვოკაციებია და პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე! – ნათქვამია გიორგი მღებრიშვილის განცხადებაში.

**ნიუპოსტი**

# კვირიკაშვილი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევა



25-29 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი კვირიკაშვილი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს შეხვდება.

დაგეგმილია შეხვედრები სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის წევრებთან.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი კვირიკაშვილი შეხვდება წამყვან ამერიკულ ბიზნესწრეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს.

პრემიერ-მინისტრი გამართავს შეხვედრებს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯიმ იონგ კიმთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორის მოადგილე მინ ჟუსთან.

დაგეგმილია გიორგი კვირიკაშვილის სიტყვით გამოსვლა აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტში და ილინოისის უნივერსიტეტში. პრემიერ-მინისტრი ასევე შეხვდება ბოსტონში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ჯონდი ბაღათურია: „პენსიებს მთავრობის პრემიებისა და ჯიპების ხარჯზე მოვუმატებთ“

## „საპენსიო რეფორმას 460 მილიონი ლარი ეყოფა“

ნონა ცაბაძე

უყრის თუ არა პარლამენტი კენჭს ახალ საპენსიო რეფორმას? დაიწუნებს თუ არა ხელისუფლება ბაღათურიას ინიციატივას? რა ჩაიდინა ამ პარლამენტმა ისეთი, რაც სააკაშვილსაც არ უკადრია? – ამ და სხვა თემებზე „ახალ თაობას“ ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრება.

***– ბატონო ჯონდი, პარასკევს პარლამენტში თქვენი პროექტის საკომიტეტო მოსმენა გაიმართა, თუმცა დიდად კმაყოფილი არ ჩანდით. რა მოხდა, დაიწუნა პარლამენტმა საპენსიო რეფორმა?***

– კვირის ბოლოს პარლამენტში ერთდროულად ორმა კომიტეტმა, ჯანდაცვის კომიტეტმა ცალკე და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტმა ცალკე, განიხილა ქართული დასის საკანონმდებლო ინიციატივა საპენსიო რეფორმის შესახებ. დაწუნებით არ დაუწუნებიათ, მაგრამ არც კმაყოფილი არიან. ჯერჯერობით არც უარი უთქვამთ და არც – თანხმობა. კენჭი არ უყარეს ამ კანონპროექტს. პარლამენტს არ აქვს სურვილი ამ კანონპროექტის მხარდაჭერის, რადგან ეს დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

***– რა რაოდენობის თანხებზეა საუბარი?***

– არ არის უსაშველოდ დიდი თანხები. პროექტის ფასი არის 460 მილიონი. ჩვენ მითითებული გვაქვს რესურსიც.

***– ხელისუფლება აცხადებს, რომ არ არის ეს რესურსი?***

– დიახ, პარლამენტის წევრები სახსრების უქონლობაზე ჩივიან, თუმცა ვაცხადებ, რომ სახსრები არსებობს! ეს სახსრები არის მათი ზედმეტი დროსტარება, ჭამა-სმა, ხელფასების დანამატი და ჯიპები! მე მათ იქვე წარვუდგინე დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, 220 მილიონი მათ მარტო ხელფასებსა და პრემიებზე დაიმატეს 2015 წელს.

***– როგორი იყო დეპუტატების პოზიცია?***

– დოკუმენტის წარდგენის შემდეგ მათი წუწუნი ამ თემაზე დასრულდა. პარლამენტის უმრავლესობას ისიც კარგად ესმის, რომ ახლა ამაზე უარის თქმა გამართლებული არ იქნება არც მორალური და არც პრაგმატული თვალსაზრისით. მითხრეს, მოვითათბირებთ და დაგიკავშირდებითო.

***– არც ეს პარლამენტია ძველზე რაიმეთი უკეთესიო, განაცხადეთ და რატომ გააკეთეთ მსგავსი განცხადება?***

– ჩემი ეს განცხადება ეხებოდა საპარლამენტო უმრავლესობას. 25 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როდესაც რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ ქაღალდზე დაწერა საპენსიო რეფორმა და შესთავაზა ჩვენს საზოგადოებას სამართლიანი პენსიის დაანგარიშების ფორმულა.

***– როგორია ამ ფორმულის არსი?***

– ჩვენ შევთავაზეთ ასეთი ფორმულა: პენსია უდრის საარსებო მინიმუმს დამატებული ყოველ ნამუშევარ წელიწადზე 2 ლარი, სტაჟი, გადამრავლებული 2-ზე და ამას დამატებული ხელფასის ოდენობიდან დამატებული კომპონენტი, ასევე – დამსახურება.

***– რამდენი უნდა იყოს საარსებო მინიმუმი?***

– ჩვენი გაანგარიშებით, ეს არის 215 ლარი. ამას მიიღებს ყველა პენსიონერი, ისიც, ვისაც ერთი დღეც არ უმუშავია და შემდეგ დაემატება სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. საშუალო პენსია დაახლოებით იქნება 250-დან 270 ლარამდე. თუმცა იქნება კიდევ განსაკუთრებული შემთხვევები. როდესაც საქმე ეხება დამსახურებულ ექიმს, დამსახურებულ პედაგოგს. განსაკუთრებული დამსახურებების მქონე ადამიანის პენსიას კიდევ რაღაც კომპონენტები დაემატება.

***– თქვენი მისამართითაც მოვისმინე კომენტარები, რომ საარჩევნო პერიოდია და მისთვის მომგებიანია ამ თემაზე საუბარიო. ასეა?***

– ასეთი კომენტარი სხდომაზე არ მომისმენია, შესაძლოა, ზურგს უკან ვინმემ რაიმე თქვა. რა შუაშია საარჩევნო პერიოდი! ოთხი წელია, რაც ამ პროექტთან დაკავშირებით მაგათთან ვმუშაობ და ვმუშაობ ღიად! ახლა, უბრალოდ, დააყენეს საშველი და ამ პროექტის განხილვა დაიწყეს. ამიტომ ამ ბრალდებას ვერ წამომიყენებენ.

***– რამდენად გაქვთ იმის იმედი, რომ კენჭს უყრიან ამ საკითხს?***

– რომ გითხრათ, რომ დიდი ოპტიმიზმით ვარ განმსჭვალული, ასე არ არის. თუმცა არც უიმედოდ ვარ. ჯანდაცვის კომიტეტი კონსტრუქციულად არის განწყობილი ამ საკითხის მიმართაც და ასევე წამლის ფასებზე რეგულაციის დაწესებასთან დაკავშირებითაც. ჯანდაცვის მინისტრისგან მოვისმინე საინტერესო შემხვედრი წინადადებები ანუ მასაც ჰქონია ნაფიქრი ამ საკითხზე. რამდენად შეელევიან დეპუტატები და მთავრობის ზოგიერთი წევრი თავიანთ პრემიებსა და ჯიპებს, რომელთა ხარჯითაც უნდა იქნეს პენსია დაფინანსებული, ამას ვერ გეტყვით.

***– ხელისუფლება რთულ მდგომარეობაშია, რადგან, თუ მხარს არ დაუჭერენ, ბევრი პენსიონერის გულისწყრომას დაიმსახურებენ.***

– რა თქმა უნდა, გეთანხმებით. სწორედ ამიტომ მიმართა პარლამენტის ხელმძღვანელობამ ხრიკებს.

***– რომელ ხრიკებს?***

– პარასკევს სამ საათზე დაინიშნა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა. ორივეგან მომხსენებელი მე ვიყავი. შუაზე ხომ არ გავიჭრებოდი?! ერთი მესამე სართულზე ტარდებოდა, მეორე – მეექვსეზე და დავრბოდი სართულებს შორის! კიდევ ისეთი რამე მოხდა და ისეთი რამ ქნა პარლამენტის ხელმძღვანელობამ, რომ ეს მიშას დროს არ უქნიათ!

***– ასეთი რა ჩაიდინეს?***

– კანონის მიხედვით, მეორე არხი გადასცემს პირდაპირ ეთერში პარლამენტის სხდომებს და, როგორც კი დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომა, მისი ტრანსლაცია დაიწყო პირდაპირ ეთერში. მეორე საკითხის მომხსენებელი ვიყავი მე და, როგორც კი 4 საათზე დაიწყო ჩემი საკითხის განხილვა, ტრიბუნამდე მისვლაც ვერ მოვასწარი, რომ პირდაპირი ტრანსლაცია შეწყდა. მეორე არხმა ის გადაცემა გაუშვა ეთერში, რომელიც 5 საათზე უნდა გასულიყო.

***– ეს რით ახსნეს?***

– მიპასუხეს, უბრალოდ, დაემთხვაო. ხომ შეიძლებოდა, მოეცათ საშუალება, რომ ხალხს პირდაპირ ეთერში მოესმინა მოხსენება.

***– იმის თქმა გინდათ, რომ დაბლოკეს?***

– კი არ ვფიქრობ, ფაქტებით ვსაუბრობ! ზუსტად ასეთი რამ გააკეთეს წინა სხდომაზეც, როდესაც წამლის ფასების საკითხი განიხილებოდა. ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ასეთი რამ ხდება. მეორე არხი ერთადერთია, რომლის საშუალებითაც ჩვენ გარანტირებული გვაქვს ურთიერთობა მოსახლეობასთან და ამასაც გვართმევენ!

ერთი შემთხვევაც არ მახსენდება, რომ მიშას პარლამენტში სხდომის ტრანსლაცია შეეწყვიტოს. ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად ინიშნებოდა, ძალიან სჭირდებოდათ, ძალიან უნდოდათ, ეთერში არ გასულიყო ის, რასაც მე ვანოს ვეუბნებოდი იმ სხდომაზე, მაგრამ ეს არ უქნიათ. მსგავსი რამ თავში აზრადაც არ მოსვლიათ.

***– ამას ვის სდებთ ბრალად?***

– მე მეორე არხის ხელმძღვანელობას ბრალს ვერ დავდებ. ეჭვი მაქვს, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობის ჩარევით მოხდა ყოველივე. გააკეთონ ქვეყნისთვის სასიკეთო, თორემ ეს უკულმართობა კარგად ეხერხებათ! სწორედ ამიტომაც აქვთ 1%-იანი რეიტინგი, დღეს რომ გამოუქვეყნა აირაიმ. ეს სწორედ ამ ხელმძღვანელობის დამსახურებაა.

***– თუკი ჩავარდა ეს კანონპროექტი, მაშინ?***

– ამით გამოჩნდება სახე ამ ხელისუფლების არჩევნების წინ. ჩვენ ამ კანონპროექტს გავაცნობთ საზოგადოებას და შემდეგ პარლამენტში აუცილებლად დავამტკიცებთ! ჩამოვაჭრით მთავრობასა და პარლამენტს იმ თანხებს, რასაც ისინი დუდუკზე, ქალებსა და დროსტარებაზე ხარჯავენ და მივცემთ პენსიონერებს!

შევახსენებ პარლამენტსაც და მთავრობასაც, „ქართულ ოცნებას“ როდესაც ხალხი ირჩევდა, მათ უამრავი დაპირება გასცეს. აქედან რამდენიმე ძირითადი იყო. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო მინიმალური პენსიის გაზრდა, მეორე იყო ტარიფების შემცირება, მესამე კი – ამ კრიმინალური ბანდის დასჯა. მათ ტარიფები, პირიქით, გააძვირეს, ამ კრიმინალურ ბანდასთან შევიდნენ ფარულ გარიგებაში და პენსიონერებსაც ატყავებენ. ახლა კიდევ რა მიზეზის გამო უნდა მისცეს ხალხმა ხმა „ქართულ ოცნებას“, თუკი ამ პროექტსაც ჩააგდებენ?!

# სოსო ცინცაძე: „ხელისუფლებას უნდა, რომ პარლამენტში ყველა პარტია მოხვდეს“

## „საარჩევნო ბარიერის დაწევა მიუღებელია“

ნათია ხურცილავა



„საპარლამენტო არჩევნების ბედს რეგიონები გადაწყვეტს“

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოქტომბრის არჩევნებში პოლიტიკური პარტიების შანსებზე საუბრობს.

**სოსო ცინცაძე:**

– ბოლო დროს განვითარებული მოვლენები სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ერთკაციანი პარტიები იმუქრებიან ქუჩაში გასვლითა და პერმანენტული აქციებით.

***– ისინი ერთიანდებიან საარჩევნო სისტემისთვის საბრძოლველად და ასევე არ გამორიცხავენ, ერთიანად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ამ შემთხვევაში მათი შანსები როგორია?***

– ეს პარტიები ერთიანდებიან იმისთვის, რომ ზედაპირზე იტივტივონ. ეს არის მათი მიზანი. თუ განხორციელდა ცვლილება საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით, ეს უკვე საგანგაშო იქნება.

***– ბარიერის დაწევას გულისხმობთ?***

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ და ეს სრულიად მიუღებელი იქნება.

***– რატომ უნდა ხელისუფლებას, რომ საარჩევნო ბარიერი დასწიოს?***

– ხელისუფლებას ეშინია იმის, რაც თავის დროზე ვერ შეაფასა ზვიად გამსახურდიამ. ეს საფრთხე კარგად გააცნობიერა შევარდნაძემ და მაშინ თქვა ცნობილი ფრაზა: „არავინ ქუჩაში, ყველა პარლამენტში“. ეს იყო მაშინ შევარდნაძის საკვანძო ფრაზა და ამ მისმა სვლამ შედეგი გამოიღო.

***– ხელისუფლება ელოდება ამ საფრთხეს? აქციების ეშინია?***

– აქციების, ქუჩაში გამოსვლისა და პროტესტის ყველა ხელისუფლებას ეშინია, რა ძლიერიც უნდა იყოს ის. დღეს არასაპარლამენტო ოპოზიცია გამოდის და ქუჩის აქციებით იმუქრება. ალბათ, „ქართულ ოცნებაში“ ვალერიანის მიქსტურებს სვამენ. დღეს ხელისუფლება კარგად აცნობიერებს ამ საფრთხეს. იმიტომ უნდა ბარიერის დაწევა, რომ ყველა პარლამენტში შეიყვანოს, რათა არავინ დარჩეს ქუჩაში.

ბევრი გაუსაძლის მდგომარეობაშია, რეგიონებში ადამიანები უმუშევრები არიან, სახლში ფული ვერ შეაქვთ, ბავშვები მშივრები არიან, ამ ფონზე წარმოიდგინეთ, ქუჩის აქციები, მასობრივი გამოსვლები რა შედეგამდე მიიყვანს ხელისუფლებასა და თავად ქვეყანას. დესტაბილიზაცია არის ყველაზე დიდი მტერი და ამიტომ ყველაფერზე მიდის ხელისუფლება, მაგრამ ბარიერის დაწევა 2 ან 3%-მდე იქნება კატასტროფა ჩვენი ქვეყნის ნორმალური გზით განვითარებისთვის.

***– როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

– სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა საკმაოდ დაბალია. 2012 წელს ადამიანებს ეგონათ, რომ ბიძინა ივანიშვილი სახელმწიფოს ბიუჯეტს შეავსებდა, რომ საკუთარი ჯიბიდან ამოიღებდა ფულს და ბიუჯეტში შეიტანდა. ეს სამწუხარო რეალობაა, რომელიც ჩემ ირგვლივაც კი მესმოდა. წარმოუდგენელია, რომ 3 მილიონ-ნახევარ ადამიანს საკუთარი ჯიბიდან პენსია ვინმემ გადაუხადოს, რაოდენ დიდი მეცენატიც უნდა იყოს, მაგრამ ადამიანებს ეს სჯეროდათ.

ასეთი განწყობების საზოგადოება შეიძლება ნებისმიერ დემაგოგიას ადვილად წამოეგოს, ამიტომ აქვს ხელისუფლებას პოზიცია დღეს – „ყველა პარლამენტში“.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ ახალი პარლამენტი მრავალპარტიული იქნება. შეიძლება ეს იყოს გამოსავალი?***

– სადაც არის მაღალი პოლიტიკური კულტურა და პასუხისმგებლობის გრძნობა თავად პარტიებში, პოლიტიკოსებში და არა მხოლოდ ელექტორატში, მაშინ, ცხადია, ეს არის გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

დასავლეთში, ევროპაში ხშირად ხდება ასეთი რამ, როდესაც ვერცერთი პარტია ვერ მოდის უმრავლესობით და პარლამენტში შესული პოლიტიკური ძალები ქმნიან კოალიციას. თუმცა, ჩემთვის მიუღებელია ისეთი ერთობა, სადაც არც საერთო ღირებულებებია და არც – საერთო პოლიტიკური წარსული თუ მომავლის ხედვა.

ეს არა მხოლოდ ჩემთვის არის მიუღებელი, ასეთ ერთობას მომავალი არ აქვს. რაც შეეხება მოკლევადიან ერთობებს, ეს ეტაპი უკვე გავლილია. დღეს ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი ფსევდოლიდერია, ვიდრე ამომრჩეველი. ეს თავისთავად კომიკურია. წვრილ-წვრილი პარტიები შევლენ პარლამენტში და შემდეგ მათ ეტყვიან, რომ ამ ღილაკს დააჭირონ თითი და იმას არა, მაგრამ ამით რა შეიცვლება, ეს რას მოუტანს ქვეყანას?!

***– რესპუბლიკელი მინისტრები წინასაარჩევნო პერიოდში, ალბათ, გადადგებიან. ეს დაძაბულობას გამოიწვევს?***

– არავითარ დაძაბულობას ეს არ გამოიწვევს. ახლა ისინი ცდილობენ, რეგიონებზე იმუშაონ. თან სამი მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელმწიფო რესურსი ცოტა საქმე არ არის. წელს რეგიონები გადაწყვეტს არჩევნების ბედს. ეს იციან რესპუბლიკელებმა. რაც შეეხება გადადგომას, ნატოს ვარშავის სამიტის შემდეგ თუ ხიდაშელს თავმოყვარეობა აქვს, უნდა გადადგეს.

***– წინასაარჩევნო კამპანიაში „ქართული ოცნების“ მთავარი ფაქტორი კვირიკაშვილი იქნება თუ კვლავ ბიძინა ივანიშვილი, ვისზე გაკეთდება აქცენტი?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ვისზე გაკეთდება აქცენტი – ივანიშვილზე თუ კვირიკაშვილზე? უფრო უპრიანი იქნება, კვირიკაშვილზე გაკეთდეს აქცენტი.

2012 წლის არჩევნებზე მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ მხრებზე სააკაშვილმა აიღო, წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყველგან მიშა იყო, კახეთიდან სვანეთში, სვანეთიდან სამეგრელოში, არადა, საპრეზიდენტო არჩევნები არ იყო, პარლამენტს ირჩევდა ხალხი, ეს იყო სააკაშვილის სტრატეგიული შეცდომა.

ივანიშვილი იყო 2012 წლის მთავარი ფაქტორი. ახლა უმჯობესი იქნება, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი აქცენტი კვირიკაშვილზე გაკეთდეს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა გიორგაძე: „კონგრესმენის შეფასება სერიოზული გზავნილია“

## „სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად მთავარია პოლიტიკური ნება“

მარიამ მჭედლიშვილი

ამერიკელ კონგრესმენ სტივ რასელის განცხადებამ ბიძინა ივანიშვილთან და საქართველოში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ქვეყანაში. სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.



**მამუკა გიორგაძე:**

– ეს არ არის განცხადება ერთი კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ. ის მარტო ხელისუფლებასაც არ ეხება. ასეთი განცხადებები ყოველთვის დაკავშირებულია მთლიანად ქვეყანასთან და მის განვითარებასთან. არა აქვს მნიშვნელობა, არის თუ არა მასში ზუსტად გადმოცემული ფაქტები და ვინ მიაწოდა ინფორმაცია გამომსვლელს. გამოსვლა მოითხოვს შეფასებებსა და ანალიზს.

***– ანუ უნდა გაანალიზდეს, რამ გამოიწვია ასეთი კრიტიკა და შეიძლება თუ არა სიტუაციის გამოსწორება?***

– დიახ. პირველ რიგში, ესაა საქართველოს დიპლომატიური კორპუსის სრული ჩავარდნა და იმის დადასტურება, რომ ნორმალურად არ მუშაობენ ანალიტიკოსები და ლობისტები.

***– რანაირად აისახება ასეთი განცხადებები ქვეყნის განვითარებაზე?***

– კიდევ ერთი-ორი ასეთი განცხადება და საქართველო შეიძლება ცუდ დღეში აღმოჩნდეს. ჩვენ ვეშაპთან მარტო აღმოვჩნდებით, თუ საერთაშორისო თანამეგობრობამ ზურგი გვაქცია. არ არის გამორიცხული დასავლეთიდან დახმარების შეწყვეტა. ამიტომ აგდებული გამოხმაურებები ამ გამოსვლაზე, იმის თქმა, რომ რასელს არავინ ეკითხება, რა ხდება საქართველოშიო, არასერიოზული და უპასუხისმგებლოა. საუბარია ქვეყნის ბედზე და არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე.

რასელის განცხადებაში რაღაცები ჰიპერბოლიზებული და გაზვიადებულია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. უმთავრესია საქართველო. ზოგიერთი მომენტი მის გამოსვლაში არ არის საფუძველს მოკლებული.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, საარჩევნო გარემო. ჩვენ ჯანსაღი საარჩევნო გარემო არ გაგვაჩნია; არსებობს შეკითხვები ივანიშვილის ფინანსებზე; რუსეთის მიმართ შეინიშნება კაპიტულანტური დამოკიდებულება. ამ ფაქტებს ვერსად წავუვალთ. ვერც სხვა გადაცდომებზე დავხუჭავთ თვალს – უმაღლესი თანამდებობის პირები აკეთებენ განცხადებებს, რომლებიც არ უწყობს ხელს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– საერთაშორისო ტრიბუნაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ახსენებს „სამხრეთ ოსეთს“. ეს ანტიკონსტიტუციური ტერმინია. გამოდის, რომ ეს ტერიტორია საქართველოსი არ ყოფილა. ამით მსოფლიო თანამეგობრობას ვარწმუნებთ, თითქოს ეს სხვისი და არა ქართული მიწა ყოფილა და საქართველოს იმპერიამ მიიერთა.

***– საქართველოს იმიჯი რომ არ შეილახოს, აუცილებელია დიპლომატიური მუშაობის გააქტიურება და არჩევნების ნორმალურად ჩატარება?***

– რასაკვირველია. ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ველური ტომი არა ვართ. ბელადები ველურ ტომებს ჰყავთ. ბელადებისგან ჩვენც უნდა გავთავისუფლდეთ. დემოკრატიის თვალსაზრისით რეგიონში ყოველთვის ლიდერებად ვითვლებოდით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამაგალითო დემოკრატია გვაქვს.

***– საარჩევნო კოდექსსა და კონსტიტუციაში ცვლილებების გარეშეც შეიძლება ნორმალური არჩევნების ჩატარება?***

– შეიძლება. მთავარია პოლიტიკური ნება. მაგალითად, ჯერ კიდევ სააკაშვილის დროინდელი ყალბი საარჩევნო სიები გვაქვს. აუცილებელია მათი გასწორება. 2 წლის წინ ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერით დადგინდა, რომ 800 ათასი ადამიანით ნაკლები ცხოვრობს ქვეყანაში. ეს არის ლუფტი. გასარკვევია, ამოიღეს თუ არა ეს ადამიანები სიიდან.

გაყალბების საშიშროებას ქმნის ყალბი პირადობის მოწმობები, რომელიც წინა ხელისუფლების დროს აღმოაჩინეს ბათუმსა და თბილისში. ამაზე არავინ დასჯილა. ასე რომ, არსებობს ხმებით მანიპულირების საშუალებები. ბუნებრივია, სამართლიან არჩევნებს ესაჭიროება თანაბარი სასტარტო პირობები ყველა სუბიექტისთვის.

***– არის იმედი, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება?***

– ნორმალური არჩევნებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ძალთა ბალანსიც. პოლიტიკური სივრცე აღარ უნდა იყოს მონოპოლიზებული „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მიერ. აუცილებელია, შეიქმნას სხვა პოლიტიკური ცენტრებიც. ჩვენ ერთმანეთს უნდა ვეპაექრებოდეთ პროგრამებითა და პრინციპებით. პარტიები უნდა გაერთიანდნენ ფასეულობების საფუძველზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ქართველი ხალხის ნების გამტარებელი ძალის არჩევა.



# ნიკოლას ბერლინერი: „კონგრესმენ რასელის განცხადება აშშ-ის მთავრობის პოზიციას არ წარმოადგენს“

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერის განცხადებით, კონგრესმენ სტივ რასელის განცხადება აშშ-ის მთავრობისა და მინისტრთა კაბინეტის პოზიციას არ წარმოადგენს.

ელჩის მოადგილის კომენტარს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

– კონგრესის ყველა წევრს აქვს სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება, თუმცა მთავარია ის, რომ ეს განცხადება არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და მინისტრთა კაბინეტის პოზიციას, – აღნიშნა ნიკოლას ბერლინერმა.

აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატაში გამოსვლისას რესპუბლიკელმა კონგრესმენმა სტივ რასელმა განაცხადა, რომ რუსეთი დღემდე ყველაფერს აკეთებს პოსტსაბჭოურ სივრცეში საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად და საქართველოში, უკრაინასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ერთნაირი მეთოდებით მოქმედებს.

რასელის თქმით, მოსკოვის ქმედებების მიუხედავად, საქართველომ შეძლო სიმტკიცის შენარჩუნება, თუმცა მოსკოვი ცდილობს, ჩაერიოს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში პრორუსული ხელისუფლების შექმნის იმედით. კონგრესმენი ამბობს, რომ ამ სქემაში მთავარი მოქმედი პირი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილია, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ახლო მოკავშირესა და მოსკოვის ნდობით აღჭურვილ პირს უწოდებს.

მისივე აზრით, ივანიშვილი შეეცდება, ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებზე გავლენა მოახდინოს ხმების მოსყიდვისა და ოპონენტებთან გამკლავების გზით, რის კონტექსტშიც კონგრესმენი მოუწოდებს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაქ ობამას, კარგად დააკვირდეს ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებს.

ამასთან, კონგრესმენი გამოდის კიდევ ერთი მოწოდებით: ის მიმართავს აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსა და დასავლურ ბანკებს, „გაყინონ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური აქტივები იარაღით უკანონო ვაჭრობის გამო“.

# გივი თარგამაძე: „ივანიშვილი საქართველოში ათეულობით ოფშორული კომპანიით ოპერირებს“

ნაციონალური მოძრაობის წევრების ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს 60-ზე მეტი კომპანია აქვს რეგისტრირებული, რომლებიც ოფშორიდან იმართება და საიდან მიღებულ შემოსავალსაც, ყოფილი პრემიერი საქართველოს ბიუჯეტის გვერდის ავლით, საკუთარ ოფშორულ ანგარიშებზე გზავნის. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე გივი თარგამაძემ განაცხადა, პირადად ბიძინა ივანიშვილი ამ კომპანიებში არ ფიგურირებს და მათ უმრავლესობას ივანიშვილის ნათესავი კახა კობიაშვილი განაგებს.



**გივი თარგამაძე:**

– აღმოჩნდა, რომ უჩა მამაცაშვილი არ არის ბიძინა ივანიშვილის ერთადერთი საყვარელი ნათესავი, არსებობს კიდევ მისი დისშვილი, კახა კობიაშვილი, რომელზეც პრაქტიკულად მიბმული აქვს მთელი ეს ოფშორული უზარმაზარი პლასტის მოღვაწეობა. ეს არის ათეულობით ოფშორული კომპანია, რომელთა მეშვეობით ოპერირებს ბიძინა ივანიშვილი როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ეს კომპანიები რეგისტრირებულია სხვადასხვა ოფშორულ ზონაში. პირდაპირ ბიძინა ივანიშვილი არცერთ ამ კომპანიაში არ ფიგურირებს, ყველა ეს ოფშორი არის კახა კობიაშვილის მონაწილეობით შექმნილი და ამ ოფშორული ზონებიდან ხდება მთელი ამ სიმდიდრის გადანაწილება მის პირად ანგარიშებზე, რასაც საქართველოში ყველა ძვირფასი აქტივიდან ახდენს ბიძინა ივანიშვილი. ამით ბიძინა ივანიშვილი თავს არიდებს გადასახადებს საქართველოშიც და იმ ქვეყნებშიც, რომლებიდანაც ხდება ოპერირება ამ ოფშორული ფირმების მეშვეობით.

მისი თქმით, სწორედ ივანიშვილის პირადი ფირმები იმარჯვებენ ტენდერებში, მისი ნათესავების ფირმები სარგებლობენ იაფი სესხითა და კრედიტებით.

თარგამაძემ მაგალითად მოიყვანა „ელიტა ბურჯი“. „თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულების რემონტი და მშენებლობა მათ გამგეობაში გადადის“, – აღნიშნა გივი თარგამაძემ.

მისი თქმით, ამ ფირმების რეალური დანიშნულება წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური დაფინანსებაა.

– მთელი ეს სიმდიდრე გადაედინება ოფშორულ ზონებში მის ანგარიშებზე ისე, რომ გადასახადებიც კი არ ხვდება საქართველოს ბიუჯეტში. ჩვენ ვაპირებთ, მთლიანობაში წარმოგიდგინოთ ამ რუსი ოლიგარქის მოღვაწეობის სქემა, რომელიც არის არალეგალური და შექმნილია გადასახადების დამალვისთვის, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

**მედიანიუსი**

# დავით ნარმანია მერიის სისტემაში ცვლილებებს არ გამორიცხავს

თბილისის მერი დავით ნარმანია მერიის სისტემაში ცვლილებებს არ გამორიცხავს.

შესაბამისი განცხადება მან სამგორის რაიონის გამგებლის მამუკა ჩოქურის მიერ თანამდებობის შესაძლო დატოვების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას გააკეთა.



დედაქალაქის მერის თქმით, მისთვის თანამდებობის დატოვების განცხადებით ჯერჯერობით არავის მიუმართავს.

– თანამდებობის დატოვების განცხადებით ჯერჯერობით არავის არ მოუმართავს, თუმცა დროთა განმავლობაში ეს ბუნებრივი პროცესია. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ცვლილებები იყოს მერიის სისტემაში, – განაცხადა ნარმანიამ.

მისივე ინფორმაციით, სამგორის რაიონის გამგებელი მამუკა ჩოქური ამჟამად შვებულებაში იმყოფება.

გავრცელებული ინფორმაციით, სამგორის გამგებელმა მამუკა ჩოქურმა კორუფციაში ბრალდების გამო თანამდებობა დატოვა.

**მედიანიუსი**

# „Bloomberg Wiew“: „სჯობს, საქართველომ სახელის შეცვლაზე იფიქროს“

ამერიკული გამოცემა „Bloomberg Wiew“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მიმოხილულია მსოფლიოს სახელმწიფოების ოფიციალური სახელწოდების შეცვლის ფაქტები, კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის ამასწინანდელ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, „ჩეხეთის რესპუბლიკა“ იცვლება დასახელებით „ჩეხეთი“ (ავტორი – ლეონიდ ბერშიდსკი).

როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, ჩეხეთის მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნის სახელწოდება საზოგადოებრივი დებატების გარეშე შეეცვალა ანუ ხელისუფლება თავის მოქალაქეებს არც შეეკითხა – სურთ თუ არა, მოსწონთ თუ არა და ისე მოაგვარა საქმე.

– შესაძლოა, მთავრობა სწორად მოიქცა, რომ ეს საკითხი ხანგრძლივი საზოგადოებრივი დებატების გარეშე გადაწყვიტა. ალბათ, მსოფლიო მალე მიეჩვევა ახალ შემოკლებულ სახელწოდებას (რომელიც ისტორიულად 1634 წლიდანაა ცნობილი) და აღარ შეეშლება რუსეთის სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, – ნათქვამია სტატიაში.

ავტორის აზრით, ქვეყნების სახელწოდების შეცვლა რამდენიმე მიზეზი განაპირობებს: არის შემთხვევები, როცა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიცირება ხდება და არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიკაცია ქრება. ასეთი მაგალითები ხშირია აფრიკასა და აზიაში. შესაძლოა ჩეხეთის მოქმედებას რამდენიმე სახელმწიფომ მიბაძოს, ვთქვათ, საქართველომ. „საქართველო, რომლის ინგლისურენოვანი სახელწოდება „ჯორჯიაა“, მუდმივად ეშლებათ ამერიკის შტატ ჯორჯიაში, რომელთანაც ამ კავკასიურ ქვეყანას არავითარი კავშირი აქვს. საქართველოს ინგლისური დასახელება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გაჩნდა, რომელიც რუსულენოვანი „გრუზია“-დან დამახინჯებულად იქნა გადატანილი. თვითონ ქართველები საკუთარ ქვეყანას „საქართველოს“ უწოდებენ.

– საქართველო ძალიან მშვენიერი სახელწოდებაა, რომელიც ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანები, ვფიქრობ, იოლად აითვისებენ. საქართველო უკვე რამდენჯერმე შეეცადა საერთაშორისო არენაზე ხმარებიდან რუსულენოვანი „გრუზია“ ამოღებულიყო და ბოლოს მიაღწია იმას, რომ იაპონელებმა მისი ინგლისური სახელწოდებით – „ჯორჯიად“ მოხსენიება დაიწყეს. თუმცა, ალბათ, მაინც სჯობს, რომ თბილისმა ეროვნულ-ისტორიული იდენტიფიცირება მოახდინოს და „ჯორჯია“ „საქართველოდ“ შეცვალოს, – აღნიშნავს ავტორი.

**ნიუსპრესი**

# გიორგი გუგავა: „ივანიშვილი მოსკოვთან საქართველოს დამოუკიდებლობით ვაჭრობს“

## „რუსეთმა საქართველოსთან საზღვრის ნაწილი გააუქმა“

შორენა მარსაგიშვილი

რისთვის ემზადება ხელისუფლება, ვინ აკარგვინებს ქვეყანას პერსპექტივას, რას ემსახურება კონგრესმენ რასელის მოწოდება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა ესაუბრება.

**გიორგი გუგავა:**

– კონგრესმენ რასელის განცხადებებმა, როგორც ვატყობ, ხელისუფლების წარმომადგენლებს გულები გაუხეთქა. მთელი „ქართული ოცნება“ ახლა იმის მტკიცებაშია, რომ რასელი შეცდომაშია შეყვანილი, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენი ლიდერი შალვა ნათელაშვილი ამერიკაში ბოლო ვიზიტისას შეხვდა როგორც სენატორებს, ასევე გავლენიან კონგრესმენებს. რიგითი კონგრესსა და სენატში, როგორც წესი, არავინ არის, მაგრამ ბატონი რასელი მაინც განსაკუთრებულია.

***– რითია განსაკუთრებული?***

– მას აშშ-ის სახელმწიფოს მიმართ უდიდესი დამსახურება აქვს და სპეციალური ჯილდოებით არის დაჯილდოებული. ის არაერთ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა, მათ შორის იმ ოპერაციაში, როდესაც სადამ ჰუსეინი დააპატიმრეს. ის დიდი გავლენებით სარგებლობს. აქედან გამომდინარე, კარგად მესმის ქოცების შეშფოთების მიზეზი.

ამერიკაში წასვლამდე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს გაეფრთხილებინათ ხელისუფლება. ეს დანაპირები „ქართულ ოცნებას“ ავუსრულეთ.

ჩვენს, ისევე, როგორც მთელი ოპოზიციის მიზანს საარჩევნო გარემოს გაჯანსაღება წარმოადგენს. ჩვენ გვინდოდა, რომ დასავლეთის ქვეყნებს გაეფრთხილებინათ ხელისუფლება, ხელი არაფერზე წასცდენოდა. უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ „ქართული ოცნება“ ძალაუფლების შენარჩუნებას გაყალბების გზით აპირებს.

***– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?***

– მათ მოსახლეობა მხარს არ უჭერს, მათ კი ძალაუფლების დათმობა არ სურთ. მის შესანარჩუნებლად ერთადერთ გამოსავალს არჩევნების გაყალბება წარმოადგენს.

***– ყველა კვლევით ეგენი როგორ ლიდერობენ?***

– ამ კვლევებში მიღებულ პროცენტებს ლიდერობას უწოდებთ? რა საჭიროა აირაი და ენდიაი, როცა ყველაფერი ნათელია. მართლმსაჯულების ქურუმად რომ მურუსიძეს დანიშნავ, იქ ხმას ვინ მოგცემს?! როგორ შეიძლება, ის ძალა დარჩეს ხელისუფლებაში, რომლის პირობებშიც მოსახლეობის 70% შიმშილობს. სამუშაო ადგილები ყოველდღე მცირდება.

***– ხელისუფლება ამტკიცებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა.***

– ეს არის უნამუსო ტყუილი. ისინი დასაქმებულს უწოდებენ იმ ადამიანებს, რომლებიც სოფელში დღედაღამ თოხს უბაყუნებენ და სიმწრით მოჰყავთ ერთი-ორი კილო ბოსტნეული. როდესაც ამბობენ, დასაქმებულთა ოდენობა გაიზარდაო, საკუთარ ნათესავებს გულისხმობენ. ისინი მართლაც კარგად დაასაქმეს და ისე დაასუქეს, კანში ველარ სტევენ,დანარჩენებს კი ლამისაა, შიმშილით სული გასძვრეთ.

არც დაპირებული სამართლიანობა აღუდგენია ვინმეს და არც ტარიფები შეუმცირებიათ. არცერთი დაპირება არ შეასრულეს. აქედან გამომდინარე, მათ არავინ დაუჭერს მხარს. თავადაც იციან, რომ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებენ. ამიტომაც გამალებით ემზადებიან უკანონობის ჩასადენად. ამაში მათ ძალიან შევუშლით ხელს.

მათ უკვე მიიღეს გაფრთხილება ამერიკიდან, რომ უხეშად არ ჩაერიონ საარჩევნო პროცესებში, არ მიიტაცონ ძალაუფლება და არ გაამრუდონ ქვეყნის მომავალი. იმედი მაქვს, ჩვენი მოსახლეობა კარგად აცნობიერებს იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც ვდგავართ. 26 წლის წინ მოპოვებული დამოუკიდებლობა საფრთხის წინაშე დგას. დღეს ჩვენი პოლიტიკური ელიტა შეკრულია მტერთან და ისინი ისევე უნდა მოვკვეთოთ ქვეყნიდან, როგორც სიმსივნეს კვეთენ ჯანმრთელი ორგანიზმიდან.

იმედი მაქვს, ამ საშინელ დაავადებას არჩევნების გზით მოვიშორებთ. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ივანიშვილის წინააღმდეგ ამოქმედდება ის სანქციები, რომლებიც არაერთი დიქტატორის წინააღმდეგ აუმოქმედებიათ.

***– რატომ გგონიათ, რომ რასელის ერთი განცხადება საკმარისია ამისთვის?***

– ეს განცხადება არის არა მარტო რასელის, არამედ აშშ-ის ხელისუფლების პოზიციაა. მტერთან გარიგებულ ხელისუფლებას ყველა მეთოდით უნდა გაუწიო წინააღმდეგობა. როდესაც მტერს ვახსენებ, ვგულისხმობ რუსეთის ხელისუფლებას და არა ხალხს. რუს ხალხსაც ყელში აქვს ამოსული თავისი ხელისუფლების თავგასულობა.

რუსეთის ხელისუფლება აგრძელებს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას და ამაზე „ქართული ოცნება“ ხმასაც კი არ იღებს. ცოტა ხნის წინ რუსეთის დუმაში, კარასინის წარდგინებით, გატანილ იქნა ე.წ. საერთაშორისო ხელშეკრულება. რომლის მიხედვითაც, გაუქმდა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის 74-კილომეტრიანი მონაკვეთი – მთიულეთის ქედიდან მამისონის უღელტეხილამდე. ეს საზღვარი გაეროს მიერ იყო აღიარებული.

საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის 74-კილომეტრიანი მონაკვეთი გამოცხადდა რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრად. ეს ნიშნავს ანექსიის გაფორმებასა და დაკანონებას.

***– არაფერს იტყვის საერთაშორისო თანამეგობრობა რუსეთის ამ გადაწყვეტილებაზე?***

– საერთაშორისო თანამეგობრობა ამ ვანდალურ ცვლილებას, ბუნებრივია, არ დაეთანხმება, მაგრამ მე სხვა ამბავი მადარდებს. როგორი დაკარგული უნდა გქონდეს სახელმწიფოებრივი განცდა, როდესაც ამ უკანონობის წარმდგენ კარასინს ოხრახუშისა და კიტრის გატანაზე ველაპარაკებით. ამ კაცის მიერ ინიცირებული საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასამარების დასაწყისს ნიშნავს. მასთან დიალოგის გამართვა მტერთან თანამშრომლობაა და სხვა არაფერი.

უფრო უარესი უნდა გითხრათ. აფხაზეთის რკინიგზის გასახსნელად ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს. ეს თუ მოხდა, საქართველო აფხაზეთის დაბრუნების საქმეში უკანასკნელ ბერკეტს კარგავს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ამ რკინიგზის ამოქმედება საქართველოს ეკონომიკურ პრობლემებს მოუტანს.

***– ეკონომიკურ პრობლემებში რას გულისხმობთ?***

– ის ტვირთები, რომლებიც ბათუმისა და ყულევის პორტებიდან უნდა გავიდეს, სხვა მიმართულებით გადაინაცვლებს. ამით საქართველო დაკარგავს თავის მოკავშირეებს არა მარტო კავკასიაში, არამედ დასავლეთშიც.

აფხაზეთის რკინიგზის ამოქმედება რუსეთის ინტერესებში შედის. ამით ის თავის სტრატეგიულ პარტნიორ სომხეთთან დაამყარებს პირდაპირ კავშირს. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ეს რკინიგზა უნდა გაგრძელდეს ირანამდე და სპარსეთის ყურემდე უნდათ გასვლა. ამით საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა საერთოდ დაიკარგება, რასაც ჩვენი დამოუკიდებლობის დამარხვა-დაკარგვა მოჰყვება.

ამ რკინიგზის ამოქმედების შემთხვევაში, იცით, ვინ დადგება ენგურისა და ფსოუს სასაზღვრო პუნქტებზე? აფხაზები დადგებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ თბილისი აფხაზეთის დამოუკიდებლობას ირიბად აღიარებს.

***– წლების წინაც დადგა დღის წესრიგში აფხაზეთის რკინიგზის შესაძლო ამოქმედება. მაშინ თქვენს პარტიას ამაზე ასეთი რეაქცია არ ჰქონია.***

– რუსეთი სანამ აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა, ამ რკინიგზის ამოქმედება შესაძლებლად მიგვაჩნდა. ახლა ამ თემაზე საუბარიც კი სამშობლოს ღალატის ტოლფასია. ქვეყნის არაფორმალური მმართველი დღეს ქვეყნის დამოუკიდებლობით ვაჭრობს. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხალხი უიმედობაში ჩაეგდო. დღეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ენდობა. ეს საყოველთაო ნიჰილიზმი სახელმწიფოებრიობას ანგრევს.

***– ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობით ვაჭრობს. ამის კონკრეტული მაგალითების მოყვანა შეგიძლიათ?***

– ამის დასადასტურებლად სავსებით საკმარისია ის მაგალითები, რომლებიც ჩამოვთვალე. უფრო შორსაც შემიძლია წავიდე, მაგრამ მკითხველის დაზაფვრა აღარ მინდა, თანაც, მგონი, ყველამ იცის, რომ ივანიშვილს საქართველო წარმოუდგენია თავის „ბუტკად“ და როგორც უნდა, ისე ვაჭრობს ამ „ბუტკით“. მისთვის საქართველო მხოლოდ თავშესაფარია. აქ ის დამატებით მილიარდებს მოიპოვებს, ქვეყანას კი ფუნქციას დააკარგვინებს.

ამას ჩვენ არ დავუშვებთ. ამ ჭირის მოშორება არჩევნების გზით გვინდა. სწორედ ამიტომ გამართა ჩვენმა ლიდერმა ამერიკაში შეხვედრები და იქაურ პოლიტიკოსებს სთხოვა, საქართველოს ხელისუფლებას არჩევნების გაყალბების უფლება არ მისცეს.

***– ერთი რასელის განცხადება გააჩერებს ხელისუფლებას?***

– რასელის განცხადება იყო ძალიან მკაფიო გზავნილი და გამგებმა ის ძალიან კარგად გაიგო.

***– კარგად გაგებაში რას გულისხმობთ? გაკეთდა შეფასებები, რომ ეს იყო მოწოდება სახელმწიფო გადატრიალებისკენ.***

– სად შეიცავდა ეს განცხადება გადატრიალების ნიშნებს? ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი მხოლოდ იმას გვთხოვს, რომ არჩევნები ნორმალურად და დემოკრატიულად ჩავატაროთ. „ქართული ოცნება“ ნორმალური ხელისუფლება რომ იყოს, ასეთი მოწოდებები არ უნდა დასჭირდეს.



„მურუსიძე მართლმსაჯულების ქურუმად აკურთხეს“

ისიც მიკვირს, რატომ აღიქვამენ რასელის ნათქვამს ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ განცხადებად. ამ განცხადებაში სახელმწიფო ნახსენები არაა საერთოდ. აქ ქვეყნის არაფორმალურ მმართველზეა საუბარი. არჩევნები თუ გაყალბდება, ივანიშვილს გაუყინავენ ანგარიშებს. დასავლეთში კარგად იციან, რომ ივანიშვილის სული და გული მისი საბანკო ანგარიშებია და არა – ქვეყანა.

***– არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ივანიშვილს რატომ უნდა გაუყინონ ანგარიშები? ის კარგა ხანია, ხელისუფლებიდან წავიდა.***

– მთელი უბედურება სწორედ ის არის, რომ ხელისუფლებიდან წავიდა და ასე მართავს ქვეყანას. საააკაშვილი და შევარდნაძე საშინელი მმართველები იყვნენ, მაგრამ ოფიციალურად მართავდნენ ქვეყანას. ეს დაჯდა თავის შუშის კოლბაში და იქიდან სხვისი ხელით უნდა ქვეყნის დაპატრონება.

დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობა ამას არ შეეგუება. ჩვენ უამრავი დამპყრობელი და დიქტატორი გვყოლია, მაგრამ არაფორმალური მმართველი საქართველოში არასდროს უნახავთ. 21-ე საუკუნეში ამის ატანა სირცხვილია. ამ ქვეყანას ივანიშვილზე ჯვარი არ აქვს დაწერილი, რომ მის უკანონო მმართველობას შევეგუოთ.

მორიგ არეულობასა და სამოქალაქო ომს ეს ქვეყანა ვერ გადაიტანს. ამიტომ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ქვეყნის მომავალი. ამ გაფრთხილების შემდეგ, იმედი მაქვს, არჩევნების ტოტალურ გაყალბებას ველარ გაბედავენ.

# აირაი: პაატა ბურჭულაძეს ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს

## „ქართული ოცნება“ – 20%, ნაციონალური მოძრაობა – 19%, თავისუფალი დემოკრატები – 13%

ამ კვირაში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, აირაი, სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ოფიციალურად გამოაქვეყნებს, გასული კვირის ბოლოს კი რამდენიმე შედეგი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა.

კერძოდ, „პირველი რადიოს“ მიხედვით, შეკითხვაზე,**ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას?** გამოკითხულთა 20% „ქართულ ოცნებას“ ირჩევს, 19% – ნაციონალურ მოძრაობას, 13% კი – თავისუფალ დემოკრატებს.

შემდეგ მოდიან: ლეიბორისტები – 8%, პატრიოტთა ალიანსი – 4%, დემოკრატიული მოძრაობა – 3%, სხვა პარტიები – 2%.

**– ვინ მოაგვარებდა პრობლემებს?**

ამ კითხვაზე პასუხები ასე ნაწილდება: 15% – ნაციონალური მოძრაობა, 13% – „ქართული ოცნება“, 5% – თავისუფალი დემოკრატები.

კითხვაზე,**რომელ პარტიას არასოდეს მისცემდით ხმას,** გამოკითხულთა 31%-მა „ქართული ოცნება“ დაასახელა, ხოლო 25%-მა – ნაციონალური მოძრაობა.

გამოკითხულთა 55% არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერის, გია ცაგარეიშვილის ინფორმაციით, აირაიმ დაშლის შემთხვევაში კოალიციის სუბიექტების შანსები მოსინჯა და აქაც პარტია „ქართული ოცნება“ ლიდერობს – პირველ ადგილს პარტია „ქართული ოცნება“ იკავებს, მას 1%-ით



ჩამორჩება ნაციონალური მოძრაობა, მესამეზეა თავისუფალი დემოკრატები, მეოთხეზე – ლეიბორისტული პარტია. დაშლილი კოალიციის სხვა სუბიექტებიდან 1%-ანი მხარდაჭერა აქვს რესპუბლიკური პარტიას.

მისივე ცნობით, პოლიტიკოსთა რეიტინგში საქართველოს განვითარების ფონდის ლიდერი პაატა ბურჭულაძე ლიდერობს.

ბურჭულაძის მიმართ პოზიტიურად რესპონდენტთა 75%-ია განწყობილი. პოლიტიკოსთა რეიტინგში 64%-ით მეორე ადგილი ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს უკავია, 60-60% აქვთ თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიასა და პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, მეხუთე ადგილზე 56%-ით პრემიერი გიორგი კვირიკაშვილია, შემდეგზე – 54%-ით – ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დავით ბაქრაძე.

– ირაკლი ალასანია არის ერთადერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელსაც ყველაზე დიდი რეიტინგი აქვს. ამას აჩვენებს ბოლო პერიოდში ჩატარებული სხვა გამოკითხვებიც. კვლევებში, როგორც წესი, ჩნდებიან, შემდეგ კი ქრებიან კონკრეტული სახეები, თუმცა ირაკლი ალასანია თავის ადგილს სტაბილურად ინარჩუნებს, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

აირაის კვლევა მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისს მოიცავს და მასში 1.500- მდე ინტერვიუერმა მიიღო მონაწილეობა.

◆ ◆ ◆

თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, აირაის კვლევები რესპუბლიკურ პარტიასთან დაკავშირებით საინტერესო არ არის.

– იმიტომ, რომ მაშინ პარტია არ იყო საარჩევნო სუბიექტი, ამიტომ ეს თემა არ არის მნიშვნელოვანი, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, არ შეიძლება იმ მონაცემებით აპელირება დღეს, რადგან კვლევის ჩატარების დროს იყო პრინციპულად განსხვავებული პოლიტიკური ვითარება.

– ჩვენ ვიყავით კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წევრები. საერთოდ, რატომ იყო ცალკე სუბიექტად შეტანილი, გაუგებარია. ალბათ, ასეთი კითხვა რომ გაჩენილიყო, იმიტომ. ამიტომ ეს არ არის ჩემთვის საინტერესო, – განაცხადა ხიდაშელმა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ არ შემოდის საქართველოში სმარტ-ტექნოლოგიები

ქართველ მომხმარებელს თანამედროვე სმარტ-ტექნოლოგიების მიმართ გარკვეული შიში აქვს, მიზეზი კი ისაა, რომ ამ მიმართულებით ცოდნა არ გააჩნია. როგორც კომპანია „სმარტ-ტექნოლოგიური სისტემების“ ხელმძღვანელი ზურა ბაზლიძე აცხადებს, გარდა იმისა, რომ მოსახლეობაში ინფორმაციის ნაკლებობაა, პრობლემას ქმნიან ის კონსულტანტებიც, რომლებიც ამ ტექნოლოგიებს ყიდიან. ზურა ბაზლიძე ამბობს, რომ ინფორმაცია ტექნიკის შესახებ არც ამ ადამიანებს აქვთ.



***– რა სახის თანამედროვე ტექნოლოგიებს სთავაზობთ მომხმარებლებს?***

– ჩვენ ვართ სმარტ-ტექნოლოგიური სქემების საქართველოში შემომტანი და დამნერგავი კომპანია, გონიერ ტექნიკაზე გვაქვს აქცენტი. ამაში იგულისხმება არა მხოლოდ სმარტფონები და პლანშეტები, არამედ ისეთი მოწყობილობებიც, რომლებიც ამარტივებს ადამიანების ცხოვრებას, ვთქვათ, თერმომეტრი, რომელიც უნივერსალურია და ზომავს ყველანაირ ტემპერატურას, არა მარტო სხეულის. ამას კი აკეთებს რამდენიმე წამში ყოველგვარი კონტაქტის გარეშე.

ასევე ვთავაზობთ სმარტ-ნათურებს, რომლებიც არის დაბალსიმძლავრიანი, დისტანციური პულტით იმართება და არის ეკონომიური.

ქართულ ბაზარზე დაახლოებით ერთი წელია შემოსული ვართ. ჩამოგვაქვს მოწყობილობები ჩინეთიდან და უკრაინიდან და შემდეგ უკვე ჩვენგან მიაქვს სხვადასხვა კომპანიას.

***– რამდენად არის მოთხოვნა სმარტ-ტექნოლოგიებზე? არ ვგულისხმობ სმარტფონებსა და პლანშეტებს.***

– სხვა ტექნოლოგიებზე უფრო მოთხოვნა, ვიდრე სმარტფონებსა და პლანშეტებზე. მომხმარებელმა, სამწუხაროდ, არ იცის სმარტფონის სრულად გამოყენება და მოწყობილობის შესაძლებლობების მხოლოდ 5-6%-ს იყენებენ. ნებისმიერი სმარტ-ტექნოლოგია ითხოვს ცოდნას მომხმარებლისგან, რისი ნაკლებობაც დღეს არსებობს. შეიძლება შეიძინონ მოწყობილობა, მაგრამ მისი გამოყენების დროს მუდმივად უჩნდებათ სირთულეები.

ჩვენ გვაქვს სმარტ-საათები, რომელთაც მობილურის ფუნქცია აქვთ. იკეთებ ხელზე და იყენებ, როგორც მობილურს. ბევრ შემთხვევაში უჩნდებათ გარკვეული კომპლექსი, არ იციან ამ ტექნოლოგიის გამოყენება და ისევ ურჩევნიათ მობილური ტელეფონი, რომელიც, ასე თუ ისე, ათვისებული აქვთ.

***– ანუ ახალი ტექნოლოგიების მიმართ რთულად ადაპტირებადია ქართველი მომხმარებელი?***

– დიახ, განსაკუთრებით ეს უფროს თაობას ეხება. ახალგაზრდობა უფრო ინტერესდება ამ ყველაფრით და მალევე ერკვევა, რასაც ვერ ვიტყვით უფროს თაობაზე.

გვაქვს მოწყობილობები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია, ტელევიზორში უყუროთ სმარტფონში გადაღებულ ვიდეოს. ეს მოწყობილობა ძალიან მოსწონს მომხმარებელს, მაგრამ, როცა საქმე მიდის პროგრამის ინსტალაციამდე და შემდგომში ამ მოწყობილობის დამოუკიდებლად გამოყენებამდე, აქ უკვე უკან იხევენ. ეს სირთულეები აფრთხობთ.

როცა ოჯახი მოდის ჩვენთან, დედა და მამა ვერ ერკვევიან ამ ტექნოლოგიებში, ბავშვი უცებ ერკვევა და ითვისებს, მშობლები კი ორჭოფობენ.

მეორე პრობლემაა თანხები. მოსახლეობაში არ არის იმდენი თანხა, რომ ასეთი ტექნოლოგიებისთვის გაიმეტონ ფული, მაგრამ, ვისაც თანხა აქვს, ის ინფორმაციის ნაკლებობის გამო უკან იხევს.

***– დროთა განმავლობაში მოხდება ამ მიმართულებით ცოდნის დაგროვება უფროს თაობაშიც? რაში ხედავთ გამოსავალს?***

– თავისთავად ვერ გახდებიან ეს ადამიანები ადაპტირებულები ახალ ტექნოლოგიებთან. ამას სჭირდება მედიის მხრიდანაც მხარდაჭერა, გაშუქება, ინფორმაციის მიწოდება. უნდა მოხდეს ახალ ტექნოლოგიებზე მსჯელობა, მათი განხილვა და ადამიანებამდე ინფორმაციის მიტანა.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადამიანები, რომლებიც სმარტ-ტექნოლოგიებს ყიდიან, თავად არ არიან გაცნობიერებული ამ ყველაფერში და თავად არ აქვთ საკმარისი ცოდნა, რა როგორ მუშაობს და რა ფუნქციები აქვს თანამედროვე მოწყობილობებს. როცა მომხმარებელი მიდის და ეკითხება ამა თუ იმ მოწყობილობის ფუნქციების შესახებ, მათ არ აქვთ პასუხები. მაგალითად, სმარტ-ტელევიზორებს ვერ ყიდიან სწორედ იმ მიზეზით, რომ არ აქვთ საკმარისი ცოდნა.

ამ პრობლემას ჩვენ პირადადაც შევეჩეხეთ და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რამდენიმე კონსულტანტი მაინც გადაგვემზადებინა.

სწორედ ამ მიზეზით არ შემოდის საქართველოში სმარტ-ტექნოლოგიები, რადგანაც ვერ იყიდება. ტექნიკა ბევრია და მრავალფეროვანი, მაგრამ მისი ათვისებისთვის ბაზარზე შესაბამისი ცოდნა არ არსებობს.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# „ლარმა დაიწყო ბუნებრივი ასახვა იმ მდგომარეობისა, რომელშიც რეგიონი და ეკონომიკაა“





ეკონომიკის ექსპერტ მიხეილ დუნდუას განცხადებით, ლარის კურსის სტაბილურობა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წასვლას უკავშირდება.

დუნდუას თქმით, როგორც კი მოიხსნა პოლიტიკური ზეწოლა ლარზე, ვალუტამ გამყარება დაიწყო.

– დღევანდელი კურსი ზუსტად ასახავს იმას, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა შეიძლება დაემართოს კურსს პოლიტიკურად ანგაჟირებული და პოლიტიკურ ძალასთან კოლაბორაციულ რეჟიმში მყოფი პირის მმართველობის რეჟიმში, იმ პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ცდილობს, ფონი გააუარესოს ქვეყანაში, მათ შორის ფულთან დაკავშირებით.

ის, რაც კურსს სჭირდა, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ეროვნული ბანკის არასწორი პოლიტიკით, მისი პრეზიდენტის ფაქტორით. დღეს გაცილებით უკეთესი კურსი გვაქვს, ვიდრე გვქონდა ქადაგიძის მოღვაწეობის ბოლო კვირას, – განუცხადა ექსპერტმა „პირველს“.

მისი თქმით, გარდა ამ ფაქტორებისა, ლარმა დაიწყო ბუნებრივი ასახვა იმ მდგომარეობისა, რომელშიც რეგიონი და ეკონომიკაა.

– საუბარი ზედმეტია იმაზე, რომ ლარი არ უნდა გაუფასურებულიყო საერთოდ. რა თქმა უნდა, საგარეო ფაქტორებიდან გამომდინარე, გაუფასურება აუცილებლად მოხდებოდა.

რეგიონის ყველა ვალუტა გაუფასურდა და მოხდა დევალვაცია, მაგრამ ჩვენ პრეტენზია გვქონდა იმ მასშტაბზე, რასაც მიაღწია ქადაგიძის პერიოდში მისი მოქმედებისა თუ უმოქმედობის გამო, – აღნიშნა დუნდუამ.

# ბათუმში ორსართულიანი მატარებლით ჩავალთ

## ბილეთი არ გაძვირდება




„საქართველოს რკინიგზა“ უახლოეს პერიოდში მგზავრებს ორსართულიანი, ევროპული სტანდარტის შვეიცარიული მატარებლებით მოემსახურება.

ორსართულიანი მატარებელი თბილისიდან შავი ზღვის მიმართულებით, შეჩერების გარეშე იმოძრავებს და მხოლოდ ზღვისპირა კურორტების სადგურებში ბათუმში, ქობულეთსა და ურეკში გაჩერდება.

როგორც „სითი კვირას“ ს/ს „საქართველოს რკინიგზაში“ განუცხადეს, ორსართულიანი მატარებლის შემოყვანა მგზავრების სიმრავლის გამო გადაწყვიტეს. ახალი მატარებლით 530-მდე მგზავრის გადაყვანა იქნება შესაძლებელი.

მათივე განმარტებით, ოთხი ახალი მატარებელი აღჭურვილია ყველა საჭირო, თანამედროვე მოწყობილობით. ასევე აქვს ულტრათანამედროვე ტიპის უსაფრთხოების სისტემა, რომელიც ევროპულ უსაფრთხოების სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია.

„საქართველოს რკინიგზაში“ ირწმუნებიან, რომ თანამედროვე მატარებლით მომსახურება ბილეთის ფასზე არ აისახება და მგზავრობის საფასური არ გაძვირდება.

– ქართულ რეალობაში ეს იქნება პირველი მატარებელი, რომელიც სრულად იქნება მორგებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე. მატარებლის დიზაინზე ქართული და შვეიცარული მხარე, ერთობლივად მუშაობს და ძალიან საინტერესო შედეგს მივიღებთ, – აცხადებენ „საქართველოს რკინიგზაში“.

ახალი, ორსართულიანი მატარებლით რეისები, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოდან განხორციელდება.

# ვერცხლის ფასი იმატებს, ოქროსი მცირდება

მსოფლიო ბაზარზე ძვირფასი ლითონების ფასის მატების ტენდენცია შეინიშნება.

მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნების გადაწყვეტილება მიიღო, ბანკის პრეზიდენტმა მარიო დრაგიმ კი მონეტარული პოლიტიკის შერბილება დააანონსა, ბაზარმა დოლარის ყიდვა დაიწყო, რამაც ძვირფასი ლითონის ღირებულების ზრდის მატება შეაჩერა და ოქროს ფასის დაკლება გამოიწვია.

ამ ტენდენციას ხელი შეუწყო ინფორმაციამ აშშ-ის პოზიტიური ეკონომიკური მონაცემების შესახებ, რამაც აშშ-ის ეროვნული ვალუტის შემდგომი გაძლიერების პერსპექტივა გაამყარა.

კეპიტალ ეკონომიკსის ანალიტიკოსების მონაცემებით, ვერცხლის ფასმა 11-თვიან მაქსიმუმს მიაღწია. მაისის ფიუჩერსების ღირებულებამ შეადგინა 16,98 დოლარი უნციისთვის.

ექსპერტების პროგნოზით, მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ვერცხლის ფასი ზრდას გააგრძელებს.

**ბიპიენი**

# „საწვავის ხარისხის კონტროლმა ბიზნესი არ უნდა შეაფერხოს“

მაისიდან საქართველოში ბენზინისა და დიზელის ხარისხის კონტროლი დაიწყება.

კონტროლს სამი სახელმწიფო უწყება – გარემოს დაცვის სამინისტროს ზედამხედველობის სამსახური, ენერგეტიკის სამინისტრო და შემოსავლების სამსახური განახორციელებს.

დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში, კომპანიები 8-10 ათასი ლარით დაჯარიმდებიან. სანქცია შეეხება ისეთი საწვავის იმპორტს, წარმოებას და მიწოდებას, რომლის ხარისხიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ხარისხობრივ ნორმებს.

ნავთობკომპანიებს მოულოდნელად, შერჩევითი წესით, მთელი საქართველოს მასშტაბით შეამოწმებენ.

◆ ◆ ◆

ნავთობკომპანიების წარმომადგენლებიც თანხმდებიან, რომ საწვავის ხარისხი უნდა შემოწმდეს და ამბობენ, რომ აღნიშნული დადგენილება მათთვის მოულოდნელი სულაც არ იყო.

კოლეგების აზრს ეთანხმება კომპანია სენტა პეტროლიუმის დამფუძნებელი და დირექტორი ზაალ იაკობიძე.

– საქართველოში მოქმედებს პარამეტრები, რომელთაც შემოტანილი საწვავის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს. თუ საწვავის ხარისხი არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს, მერე უკვე საჯარიმო სანქციები გატარდება. საბოლოო ჯამში ეს დადებითი მომენტია, რადგან მომხმარებელმა




მანქანის ავზში ხარისხიანი საწვავი უნდა ჩაასხას, – ამბობს ზაალ იაკობიძე.

მისი აზრით, კონტროლი ამ სფეროში საჭიროა, რადგან ქვეყანაში არსებობს პატარა ქარხნები და საწარმოები, რომლებიც ისევე ვალდებულნი არიან ნორმები დაიცვან, როგორც მსხვილმა კომპანიებმა.

– თუ კონტროლი დაწესდება, დარღვევაც დროზე აღმოჩნდება, ეს კი საუკეთესო გზაა ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, – აღნიშნავს ზაალ იაკობიძე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი ბექა კემულარია მიიჩნევს, რომ ნავთობკომპანიებმა ამ ნორმების შესახებ იციან და, თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ნორმები დარღვეულია, დამრღვევმა პასუხიც უნდა აგოს.

– თუ საწვავის ხარისხობრივი მაჩვენებლები ნორმას არ შეესაბამება, მისი იმპორტი არც უნდა განხორციელდეს, საბაჟო სამსახურიც არ გამოატარებს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი დარღვევა ადგილობრივ ბაზარზე არასწორი შენახვის, ან სხვა მიზეზის ბრალიც იყოს, – აცხადებს ბექა კემულარია.

მისი თქმით, შემოწმება კარგია, რადგან მომხმარებელს ეცოდინება, როგორ საწვავს ასხამს თავისი მანქანის ავზში.

– შედარებით მცირე კომპანიებს არანაკლები ხარისხის საწვავი აქვთ, მაგრამ ზოგ-ზოგიერთების აგრესიული ანტიპიარის წყალობით, მათი რეპუტაცია საკმაოდ დაბალია, – ამბობს ბექა კემულარია.

იყო დრო, როცა ზოგიერთი კომპანია იტალიიდან შემოტანილი „მოცეკვავე და მომღერალი“ საწვავითაც იწონებდა თავს, მერე კი აღმოჩნდა, რომ ამ კომპანიებს იმ ხანებში იტალიიდან ერთი ლიტრი საწვავიც არ ჰქონიათ შემოტანილი.

– მაღალი ფასი რომ გაემართლებინათ, ასეთი რამ მოიფიქრეს და თან აგრესიული ანტიპიარი გაუშვეს, რომ თითქოს მცირე კომპანიების საწვავი უხარისხო იყო. იმედია, ასეთი ფაქტები ჩვენს ქვეყანაში აღარ მოხდება, – აცხადებს ბექა კემულარია.

◆ ◆ ◆

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ ხარისხის კონტროლი არ უნდა იქცეს დამატებით წნეხად მეწარმისათვის.

– საქართველოში ხარისხის კონტროლი მკაცრდება. მთლიანობაში ეს გადაწყვეტილება გამართლებულია, რადგან კანონს პრევენციული ხასიათი უნდა ჰქონდეს. მთელ მსოფლიოში აღიარებენ, რომ ჰაერის ერთ-ერთი დამაბინძურებელი არის ავტომობილი და უხარისხო საწვავი, თანაც, ამ ბაზრის უკონტროლობა პირდაპირ მოქმედებს კონკურენციაზე, რადგან უხარისხო, არასტანდარტული პროდუქტი შედარებით იაფია და აქედან გამომდინარე, მომხმარებელიც მეტი ჰყავს, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

მისი ინფორმაციით, ოციოდე დღის წინ აღმოაჩინეს არალეგალური საწარმო, რომლის „თანამშრომლებს“ ბაქო-სუფსის ნავთობსადენი ჰქონდათ გახვრეტილი და ნავთობს იქიდან იპარავდნენ, მერე კი თბილისში კუსტარულად ამუშავებდნენ და ყიდდნენ.

– რა თქმა უნდა, ასეთი ფორმით მიღებული პროდუქტი უხარისხო და არასტანდარტული იქნება. მსგავსი პრეცედენტები ხდება ხოლმე, აქედან გამომდინარე, კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს ყველა კომპანია – ცნობილი და ნაკლებად ცნობილიც. მთავარია, ეს რეგულაციები ბიზნესის შემაფერხებელი არ იყოს და სამართლიანად განხორციელდეს, – ასკვნის მთვრალაშვილი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ხათუნა გადელია: „ყოლბაიას დანიშვნას მარგველაშვილიც არ ეთანხმება“

## რატომ ცვლიან აფხაზეთის კონსტიტუციას?

გულიკო ბალაძე

18 აპრილს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ სახალხო განხილვისთვის გამოიტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „რეფორმებისა და მონიტორინგის საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის“ წარმომადგენელი ხათუნა გადელია აცხადებს, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ორი წელია ცდილობს, არაკანონიერი კონსტიტუცია დააკანონოს, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ აფხაზეთის კონსტიტუციაში არაკონსტიტუციური ჩანაწერები გააკეთოს.

– შარშან, 2015 წლის მარტში, გამოიტანეს სახალხო განხილვისათვის ანტიკონსტიტუციური ჩანაწერები და კონსტიტუციური ცვლილება. კანონი ვერა და ვერ მიიღეს, ვერ მოაგროვეს უმრავლესობა და კონსტიტუციურ ცვლილებას ვერ იღებდნენ. ახლა 18 აპრილს სახალხო განხილვისთვის გამოიტანეს აფხაზეთის კონსტიტუციის ახალი ცვლილება, – განაცხადა ხათუნა გადელიამ.

***– რატომ არის შემოთავაზებული ცვლილებები ანტიკონსტიტუციური და საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო?***

– საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 36 დეპუტატს აქვს უფლებამოსილება. 24 დეპუტატს ვერ აგროვებენ, რომ მიიღონ ცვლილებები. შესაბამისად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო გასულია საკანონმდებლო საქმიანობის უფლებამოსილებიდან. ისინი საკანონმდებლო საქმიანობას ვერ ახორციელებენ.

***– დეპუტატები სად წავიდნენ, კვორუმს რატომ ვერ აგროვებენ?***

– ზოგი გარდაიცვალა, ზოგს უფლებამოსილება აქვს შეწყვეტილი. შესაბამისად, დღეს სიითი შემადგენლობით 22 დეპუტატია. კონსტიტუციაში ცვლილებას სჭირდება სიითი შემადგენლობის 2/3. სინამდვილეში, სიითი შემადგენლობის 2/3 არ არის.


ხათუნა გადელია


ვახტანგ ყოლბაია

ამიტომ ისინი კონსტიტუციაში ცვლილებას ვერ განახორციელებენ. კანონების, დადგენილებების მიღებას 22 დეპუტატის ხმა არ ჰყოფნის. შესაბამისად, ისინი უკვე ვერ ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას და ცდილობენ, კონსტიტუცია დარჩენილ 22 დეპუტატს მოარგონ.

ყველა ჩანაწერი, რომლებიც ახლა განახორციელეს, ემსახურება კანონების არაკანონიერად, არაკონსტიტუციურად მიღებას. ამიტომ კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სიითი და არა სრული შემადგენლობის 2/3-მა.

ეს პირველი შემთხვევა არ არის. მათ კონსტიტუციაში რამდენჯერმე შეიტანეს ცვლილება და რამდენჯერმე მოარგეს საკუთარ თავს.

***– რას ნიშნავს, კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგეს?***

– კონსტიტუციაში განხორციელებული წინა ცვლილება ვახტანგ ყოლბაიას მოარგეს – შემოიღეს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტი.

***– უფლება არ ჰქონდათ, დროებით დაევალებინათ მოვალეობის შესრულება?***

– ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნით, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტი კანონდარღვევით შემოიღეს.

***– ყოლბაიას მთავრობის თავმჯდომარედ რატომ არ ამტკიცებენ?***

– ყოლბაიას დამტკიცებას ხელს უშლიდა აფხაზეთის კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერი, რომ მის დანიშვნას პრეზიდენტთან შეთანხმება სჭირდება. პრეზიდენტი ვერ დაითანხმეს. მიხეილ სააკაშვილმა უარი უთხრა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ყოლბაიას დანიშვნას გიორგი მარგველაშვილიც არ ეთანხმება.

***– რა იცით, რომ მარგველაშვილი ყოლბაიას დანიშვნას არ ეთანხმება?***

– არაერთ საგაზეთო სტატიაში ეწერა. ვიცით, რომ მარგველაშვილს მიმართეს კიდეც.

***– მარგველაშვილს ოფიციალურად მიმართეს?***

– მიმართეს. არ შეიძლება, სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პირი მოვალეობის შემსრულებელი იყოს. საგანგაშო ის არის, რომ ყველა უფლებამოსილება, რომლებიც აქვს მთავრობის თავმჯდომარეს, მიანიჭეს მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს.

მაშინ რა აზრი აქვს მთავრობის თავმჯდომარის პოსტს, თუ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ყველა უფლებამოსილებას განახორციელებს, თანაც სამი წლის განმავლობაში?

ყოლბაიას დანიშვნას მახინჯი სახე მიეცა, სამი წელია, მოვალეობის შემსრულებელია. ამიტომ ახლა კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ უმრავლესობის კოალიციასთან შეთანხმებით უნდა დაინიშნოს მთავრობის თავმჯდომარე.

***– კოალიციაში „ქართული ოცნება“ იგულისხმება?***

– ასე გამოდის. გამოდის, „ქართული ოცნება“ თანახმაა, ეს ანტიკონსტიტუციური ჩანაწერი დაკანონდეს აფხაზეთის კონსტიტუციაში.

***– ალბათ, ასე იმიტომ ჩაწერეს, რომ პრეზიდენტის გარკვეული უფლებამოსილებები პრემიერთან გადავიდა.***

– მაშინ პრემიერი უნდა ეწეროს და არა – კოალიცია.

***– პარლამენტთან შეთანხმებაზეა საუბარი?***

– სამწუხაროდ, პარლამენტი არ წერია. 350 ათასი დევნილის უფლებას ისინი 25 წელია არღვევენ. აფხაზეთის მოსახლეობამ არ იცის, მათ მართლა ლეგიტიმური ჰგონიათ ეს ხელისუფლება. არადა, უმაღლეს საბჭოში ისინი შეპარულები არიან. მაგალითად, რუდიკ ცატავასა და გვაძაბიას აფხაზეთში უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ დეპუტატის უფლებამოსილება. რატომ უნდა იყვნენ ისინი დღეს, 25 წლის შემდეგ, ისევ დეპუტატები, ჩემთვის გაუგებარია.

რატომ უნდა იწოდებოდეს დეპუტატად ის 10 ადამიანი, რომლებიც კოოპტირებულად იწოდებიან, გაუგებარია. ისინი 1992 წელს აფხაზეთიდან საქართველოს პარლამენტში იყვნენ არჩეულები.

სამწუხაროდ, დეპუტატი ოლგა ნაგარნინა წლების განმავლობაში რუსეთის მოქალაქე იყო. მას მფარველობდა გია გვაზავა.

***– რა იცით?***

– ამის თაობაზე ჩვენ მასალები პროკურატურაში შევიტანეთ და მიმდინარეობს გამოძიება. არ ვიცი, გამოძიება რა ეტაპზეა.

***– გვაზავა რატომ უნდა მფარველობდეს ნაგარნინას?***

– ჩვენ გვაქვს დეპუტატების მოხსენებითი ბარათები, სადაც ისინი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს არაერთ სესიაზე თხოვნით მიმართავენ, რომ ოლგა ნაგარნინამ დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა და შეუწყვიტონ დეპუტატის უფლებამოსილება. რადგან ოლგა ნაგარნინას ხმა გვაზავასთვის მნიშვნელოვანი იყო ყოლბაიას დანიშვნისა და მისი არჩევნების დროს, არ შეუწყვიტეს უფლებამოსილება.

***– ნაგარნინა ხომ რუსეთშია წასული, აქ ხმას როგორ მისცემს?***

– როცა სჭირდებათ, ნაგარნინა რუსეთიდან სასწრაფო წესით ჩამოჰყავთ საქართველოში. ახლაც ჩვენთვის ცნობილი წყაროებიდან გავიგეთ, რომ ისინი ცდილობენ ოლგა ნაგარნინას ჩამოყვანას კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით.

# რატომ ატარებენ რეფერენდუმს ცხინვალში?

ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ პრემიერ კვირიკაშვილის გუშინდელ გამოსვლას ეხმაურება და მის მიერ გაკეთებულ ერთ-ერთ მთავარ აქცენტზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე აკეთებს პედალირებას.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავის გამოსვლაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს წინაშე მდგარ ყველაზე სერიოზულ გამოწვევებს შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება დაასახელა – იმ ტერიტორიებზე, სადაც ბორდერიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რომელიც ერთმანეთისგან ყოფს ახლობელ ოჯახებს, არ აძლევს მათ საშუალებას, ისარგებლონ გადაადგილების თავისუფლების უფლებით. აქ გადაადგილების შესაძლებლობა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარსაც კი არ ეძლევა.




– საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ვითარება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. ბორდერიზაციაა, კერძოდ კი, რუსეთის ფედერაციის მიერ საოკუპაციო ხაზების გაყოლებაზე აღმართული ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებიც ერთმანეთს აშორებს ოჯახებს და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას. ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები მოკლებული არიან მიმოსვლის, კერძო საკუთრების, საოჯახო საქმეების წარმართვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და სხვა სამოქალაქო თუ ეკონომიკურ უფლებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხი არის ის, რომ ევროპის საბჭოს ხელი არ მიუწვდება კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებზე. მიუხედავად ძალისხმევისა, ადამიანის უფლებათა კომისარსა და ევროპის საბჭოს არ მიეცათ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის უფლება. გარდა ამისა, ჩვენ აღშფოთებული ვართ ცხინვალის დე ფაქტო ხელმძღვანელობის გეგმის გამო, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას. ეს მოვლენები არა მარტო საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ, დიდი ალბათობით, სავალალო შედეგებსაც მოუტანს ისედაც არასტაბილურ სამხრეთ კავკასიის რეგიონს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რეფერენდუმის გამართვის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა გააჟღერა. რეფერენდუმის შედეგებმა უნდა აჩვენოს, თანახმაა თუ არა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, მიუერთდეს რუსეთის ფედერაციას. თუმცა წლევანდელი სარეფერენდუმო ვითარება ცხინვალში წინა წლებში ჩატარებული სარეფერენდუმო სიტუაციისაგან განსხვავებულია – ახლა რუსეთი უკვე ცნობს სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას. ეს მოცემულობა წინა რეფერენდუმების დროს არ არსებობდა.

„ამერიკის ხმასთან“ საუბრისას კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანიშვილი აღნიშნავს, რომ რეფერენდუმის საკითხი ცხინვალის შიდა პოლიტიკურ დღის წესრიგის ფარგლებსა და შიდა ინტრიგებს არ გასცდება.

– საფრთხეები არსებობს, მხოლოდ ამ შემთხვევაში პოლიტიკური საფრთხეები, რა თქმა უნდა, არ იზრდება. ანალოგიური რეფერენდუმი სამხრეთ ოსეთში ორჯერ არის ჩატარებული. რუსეთი იმდენად აკონტროლებს შიდა პოლიტიკურ სიტუაციას სამხრეთ ოსეთში, რომ, მისი სურვილიდან გამომდინარე, ცხინვალში მიაღებინებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას. აქ, უბრალოდ, ცუდი მომენტია ის, რომ მოსახლეობის მობილიზება ხდება შემდეგი მიმართულებით: „ჩვენ არ შეგვიძლია არსებობა დამოუკიდებლად, რომ განვსაზღვროთ, ქართველებთან გვინდა ურთიერთობა, ევროკავშირთან, რუსეთთან თუ სხვასთან ანუ რუსეთის გარეშე არაფრის გადაწყვეტის უნარი არ გვაქვს“. ასეთი მიდგომა გარკვეულ დეპრესიულ და უიმედო განწყობებს თესავს საზოგადოებაში. მოკლედ, ეს რეფერენდუმი ცალსახად შიდა პოლიტიკური მოხმარების არის. თავის დროზე, ბიბილოვმა გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებზე, მისი მთავარი ლოზუნგი სწორედ რუსეთთან შეერთება იყო. ახლა, დღეს, ანალოგიური ინიციატივის წინსწრება უნდა თიბილოვს. იგი გამოდის ამის მთავარ ინიციატორად. მან კარგად იცის მოსახლეობის განწყობა და ცდილობს ეს გამოიყენოს თავის სასარგებლოდ მომავალი არჩევნებისთვის, – ამბობს ზურაბ ბენდიანიშვილი.

„ამერიკის ხმა“ ახალგორში მცხოვრებ თამარ მეარაყიშვილსაც ესაუბრა. ახალგორში რეფერენდუმი წელს პირველად უნდა ჩატარდეს, რადგან პირველი და მეორე რეფერენდუმების დროს, 1992 და 2006 წლებში ეს ტერიტორია ჯერ კიდევ არ ეკუთვნოდა დე ფაქტო სამხრეთ ოსეთს. თამარ მეარაყიშვილი ამბობს, რომ ახალგორში მოსახლეობა რეფერენდუმის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს, რადგან აქ არც ცხინვალის ტელევიზია მაუწყებლობს და არც რადიო.

– დღეს უკვე ახალ, რიგით მესამე რეფერენდუმზეა საუბარი. მიუხედავად, იმისა, რომ რვა წელია ერთად ვცხოვრობთ და მათი ანუ ცხინვალის ყველაფერი ვრცელდება ჩვენს რაიონზე, აქ, ალბათ, ათიდან ერთს თუ ექნება ინფორმაცია და ერთმა თუ იცის, რა რეფერენდუმი ტარდება და, საერთოდ, რას ემსახურება ეს ყველაფერი.

რეფერენდუმის გამართვის კონკრეტული თარიღი ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციას ჯერ არ დაუსახელებია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ის ზაფხულის ბოლომდე უნდა გაიმართოს. ლეონიდ თიბილოვმა წამოყენებული იდეის ფორმულირება რამდენჯერმე შეცვალა და რეფერენდუმის საკითხი კონსტიტუციის ცვლილებების თემას მიაბა. ზოგადად, უკანასკნელ პერიოდში წამოყენებულ ამ იდეაზე საავტორო უფლება პარტია „ერთიანი ოსეთის“ ლიდერს ანატოლი ბიბილოვს ეკუთვნის, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულის საპრეზიდენტო არჩევნებზე სავარაუდოდ, ლეონიდ თიბილოვის კონკურენტი იქნება.

**ნიუსპრესი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2016, 25 აპრილი, №97

# განცხადებები


## იყიდება

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.


# ნადეჟდა სავჩენკოს მაისის ბოლოს გაათავისუფლებენ?



რუსული ნტვ-ს ცნობით, ნადეჟდა სავჩენკოს მაისის ბოლოს გაათავისუფლებენ.

– კიევში გასამართლებულ გრუ-ს ორ ოფიცერზე, ეროფეევსა და ალექსანდროვზე მისი გაცვლის შესახებ შეთანხმება მიღწეულია, თუმცა საამისოდ რიგი პროცედურის დაცვაა აუცილებელი. შესაბამისად, გაცვლა მაისის ბოლოს მოხდება, – იტყობინება ნტვ.

ადვოკატ პოლოზოვის ცნობით, რამდენიმე დღის წინ სავჩენკოს „ექიმი“ ელიზავეტა გლინკა (დოქტორი „ლიზა“) ეწვია. მან სახელი გაითქვა როგორც ფსბ-სთან კავშირით, ასევე რიგი ანტიუკრაინული გამონათქვამით. გლინკა არწმუნებდა სავჩენკოს, რომ უკვე მიღწეულია შეთანხმება მისი გათავისუფლების შესახებ, ამიტომ ხმაურიანი განცხადების გაკეთება საჭირო არ არის

– პუტინს უნდა მიეცეს საშუალება, სახე შეინარჩუნოს. თქვენი საქციელით მას ამის საშუალებას არ აძლევთ და საქმეს ირთულებთ, – არწმუნებდა სავჩენკოს გლინკა.

სავჩენკომ დაუპატიჟებელ სტუმარს კარისკენ მიუთითა. ცხადი იყო, ვის დაკვეთასაც ასრულებდა გლინკა. პოლოზოვი ამბობს, რომ მედიაში გაჟღერებული ცნობაც სავჩენკოს შესაძლო გათავისუფლების შესახებ რუსების მორიგი ხრიკია.

– ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ სავჩენკოს საქმესთან დაკავშირებით მორიგი დადგენილება მიიღო. რუსებიც იმ საინფორმაციო ტალღის დაგდებას ცდილობენ, რომელიც მათ წინააღმდეგ აზვირთდა. ამ მიზანს ემსახურება როგორც ელიზავეტა გლინკას ვიზიტი სავჩენკოსთან, ასევე მედიაში გაჟღერებული ცნობა უკრაინელი მფრინავის შესაძლო გათავისუფლების თაობაზე, – აცხადებს პოლოზოვი.

ამ მოსაზრებას ექსპერტი ტარას ჩერნოვილიც იზიარებს.

ის ამბობს, რომ სავჩენკო პოლიტიკური ვაჭრობის საგნად გადაიქცა. რუსები ამით ვაჭრობენ როგორც უკრაინასთან, ასევე ევროპასთანაც. ამას განსაკუთრებით ცხარე ხასიათი ჰოლანდიური რეფერენდუმის დასრულების შემდეგ ჰქონდა. კრემლმა ევროპას განუცხადა: სავჩენკოს გავათავისუფლებთ, თქვენ კი უკრაინის ევროინტეგრაცია დაბლოკეთ, მით უმეტეს, რომ რეფერენდუმის შედეგები ამის საფუძველს გაძლევთო.

– ევროპელებმა რუსებს მტკიცე „არა“ უთხრეს! მათ განაცხადეს, რომ საუბარი შესაძლოა მხოლოდ ერთ საგანზე იყოს: გაძლიერდება თუ არა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, – ამბობს ჩერნოვილი.

თამაშები ნადეჟდა სავჩენკოს გარშემო გრძელდება.

# პუტინის „მოლოდაია გვარდია“ გერმანელი ნეონაცისტების მოკავშირე გახდა



გაფორმდა ხელშეკრულება პროპუტინურ „მოლოდაია გვარდიასა“ და გერმანულ „ახალგაზრდა ალტერნატივას“ შორის.

ამიერიდან ეს ორი ორგანიზაცია უკვე იურიდიულად არის მოკავშირე.

„ახალგაზრდა ალტერნატივა“ გერმანიის ევროკავშირიდან გასვლას მოითხოვს. ის კანცლერ მერკელს არასაკმარისად ეროვნული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს. „ახალგაზრდა ალტერნატივას“ საინტერესო პოლიტიკური შეხედულებები გააჩნია. ის მიიჩნევს, რომ წარსულის ხელაღებით უგულებელყოფა არ შეიძლება. კერძოდ, მიზანშეუწონელია ადოლფ ჰიტლერის ეპოქის მთლიანად უარყოფა.

– რასაკვირველია, ანტისემიტიზმი და მასობრივი ტერორი უნდა დავგმოთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰიტლერმა გააერთიანა ერი, გააღვივა პატრიოტული გრძნობები, მოსპო უმუშევრობა, გაანადგურა ნარკომაფია, – ამტკიცებენ „ახალგაზრდა ალტერნატივის“ აქტივისტები.

მოსკოვიდან დაფინანსებული გერმანელი ნეონაცისტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ევროკავშირში უკრაინისა და საქართველოს მიღებას. ისინი მოითხოვენ, რომ ევროკავშირიდან გარიცხონ პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი.

– ეს ქვეყნები ევროპას არასოდეს განეკუთვნებოდნენ. ისინი წარმოადგენენ ბალასტს. მათგან ევროპაში მოდის კრიმინალი და ნარკოტიკები, – ამტკიცებენ გერმანელი ნეონაცისტები.

უკანასკნელ ხანს ევროპაში აქტიურდებიან ძალები, რომლებიც ევროკავშირის მომავალს სკეპტიკურად უყურებენ. ესენი არიან მემარჯვენე რადიკალები, რომლებიც უკიდურესი ნაციონალისტური პოზიციებიდან გამოდიან. მოსკოვი მათ მხარს უჭერს და აფინანსებს, რადგან ამ ხალხის მეშვეობით ცდილობს, ევროპაში ანტიდემოკრატიული, ანტიამერიკული ტალღა ააგოროს.

– დასავლეთი ეხმარება უკრაინას, საქართველოს, ბალტიისპირეთს. მათ საშუალება არ მოგვცეს, სრულფასოვანი ევრაზიული კავშირი შეგვექმნა. ყოველ ქმედებას უკუქმედება მოსდევს. ჩვენ მხარს დავუჭერთ მათ, ვისაც ევროკავშირის დანგრევა უნდა, – აცხადებს ვლადიმერ ჟირინოვსკი.

# ფრანგი კომუნისტები ნაციონალ-რადიკალებმა ჩაანაცვლეს



საფრანგეთში ბესტსელერად იქცა პროფესორ სესილ ვესიეს წიგნი „კრემლის აგენტურა საფრანგეთში“.

ვესიე ცნობილი პოლიტოლოგი და რუსეთის საკითხის სპეციალისტია. თავის ნაშრომში მან დეტალურად მიმოიხილა, როგორ იქმნებოდა საფრანგეთში პრორუსული ლობი, დაწყებული გასული საუკუნის 30-იან წლებიდან, დამთავრებული თანამედროვე ეპოქით.

ვესიე ხაზს უსვამს, რომ წლების განმავლობაში საფრანგეთში რუსების საყრდენს კომპარტია წარმოადგენდა. ამ ორგანიზაციას მოსკოვიდან გულუხვად აფინანსებდნენ. სსრკ-ის დანგრევის შემდეგ კომუნისტური იდეალები გაკოტრდა, კომპარტიამაც მეორე პლანზე გადაინაცვლა. კომუნისტები ფრანგმა ნაციონალ-რადიკალებმა ჩაანაცვლეს.

უწინარეს ყოვლისა, ესაა ნაციონალური ფრონტი, რომლის ლიდერია მარინ ლე პენი. ის გამოდის უკრაინის წინააღმდეგ, მოითხოვს რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას, კომუნისტების მსგავსად, ამხელს ე.წ. ამერიკულ იმპერიალიზმს და ა.შ.

– პატრიოტული ლოზუნგების „დავიცვათ სამშობლო, კათოლიკური ეკლესია“ და ა.შ. უკან დგას ხელისუფლებაში მოსვლის ბანალური სურვილი. მარინ ლე პენს არავითარი პატრიოტიზმი და პრინციპები არ გააჩნია. ის საფრანგეთს ისევე ღალატობს, როგორც თავის დროზე ამას ჩვენი კომუნისტები აკეთებდნენ, – წერს ვესიე.

## ანგელა მერკელი თურქეთში ჩავიდა



გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ანკარაში ჩავიდა.

იქ ის შეხვდა და ესაუბრა თურქეთის პრემიერ დავითოღლუს. საუბარი თურქეთ-სირიის ურთიერთობებსა და თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი სირიელი ლტოლვილების მდგომარეობას შეეხებოდა.

მერკელმა თურქეთ-სირიის საზღვარზე განლაგებული სირიელი ლტოლვილების ბანაკიც მოინახულა.

## ეკვადორში რვადღიანი გლოვა გამოცხადდა

ეკვადორში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 650-მდე გაიზარდა. კიდევ 58 ადამიანი ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა.

ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ ქვეყანაში რვადღიანი გლოვა გამოაცხადა. ყოველკვირეულ სატელევიზიო მიმართვაში მან მადლობა გადაუხადა იმ ქვეყნებს, რომლებიც ეკვადორს სამაშველო ოპერაციაში დაეხმარნენ.

ეკვადორში 7,8 მაგნიტუდის მიწისძვრა 17 აპრილს მოხდა. სტიქიური უბედურება ყველაზე საშინელი ტრაგედიაა ეკვადორში ბოლო 70 წლის განმავლობაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# რუსეთის ომბუდსმენად ყოფილი მილიციელი აირჩიეს

რუსეთის დუმამ ახალი ომბუდსმენი აირჩია. ეს თანამდებობა მილიციის ყოფილმა თანამშრომელმა ტატიანა მოსკალკოვამ დაიკავა. მის კანდიდატურას მხარი 323-მა დეპუტატმა დაუჭირა.



ტატიანა მოსკალკოვა 1955 წელს ქალაქ ვიტებსკში (ბელარუსი) დაიბადა. ჟურნალისტების შეკითხვაზე, რა ეროვნების ხართო, მიუგო, რუსი ვარო.

მოსკალკოვამ დაამთავრა მილიციის უმაღლესი სკოლა. ერთხანს მუშაობდა იურისკონსულტად. 1984 წლიდან საბჭოთა მილიციის რიგებშია. დაუსწრებლად დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი.

მოსკალკოვა პუტინის მხარდამჭერია. როგორც დეპუტატმა, სახელი გაითქვა იმით, რომ ოდესის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ (2014 წლის 2 მაისი) კიევის დაბომბვა მოითხოვა. მოსკალკოვამ მოამზადა კანონპროექტი, რომელიც ტერორისტების ნათესავების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასა და მათთვის ქონების კონფისკაციას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველად მოსკალკოვას არჩევამ რუსული ლიბერალური ინტელიგენციის აღშფოთება გამოიწვია.

– რუსეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც კორუმპირებული და პოლიციური სახელმწიფო, – აცხადებს ნატალია ევდოკიმოვა.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# თბილისის დინამო საქართველოს თასის მფლობელია

**დინამო – სოხუმი 85:59 (23:6; 17:10; 24:21; 21:22)**

საქართველოს თასის გათამაშების გამარჯვებული თბილისის დინამო გახდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ფინალურ მატჩში დიდი უპირატესობით დაამარცხა სოხუმი და ქართული კალათბურთის ერთ-ერთი მთავარი ტიტული მოიგო.



მიუხედავად იმისა, რომ ფინალური შეხვედრა იყო და შანსებიც დაახლოებით თანაბრად ნაწილდებოდა, დინამოელებმა ყველა კომპონენტში იძალეს. მატჩი როგორც დაიწყო, ისე დასრულდა – დინამო თავიდანვე სოლიდურ სათამაშო უპირატესობას ფლობდა, რაც მალევე ასახა ანგარიშში და ხელჩასაჭიდი ლიდერობა საფინალო სირენამდე ხელიდან არ გაუშვია.

დაცვა იყო ის საძირკველი, რომელზეც აგებული იყო დინამოელთა შედეგიანი თამაში. მჭიდრო მეურვეობამ და ტაქტიკურად გამართულმა დაცვამ პირველ მეოთხედში სოხუმელთა ფარი თითქმის მშრალად შეინახა. სოხუმელებმა მხოლოდ 6 ქულა მიითვალეს, დინამოელებმა კი მეტოქეს 23-ით უპასუხეს და ირაკლი ხოშტარიას გუნდმა გამარჯვებაზე სოლიდური განაცხადი გააკეთა.

ვითარება თითქმის არ შეცვლილა მეორე პერიოდში, რომლის ბოლოსაც დინამოელთა ლიდერობამ 24 ქულას მიაღწია. ხოშტარიას გუნდის ყველა წევრი მაქსიმალური მონდომებით თამაშობდა, რითაც სოხუმელებს ვითარების გამოსწორების შანსს არ აძლევდა. აღსანიშნავია, რომ სოხუმმა პირველ ტაიმში 15 სამქულიანი ესროლა და ვერცერთი ვერ ჩააგდო, ხოლო 35 ნასროლი ორქულიანიდან მიზანს მხოლოდ 6 უწია. ცხადია, ასეთი მაჩვენებლით ზღვისპირელები უშანსოდ იქნებოდნენ და საბოლოოდ ისე დამთავრდა მატჩი, რომ სოხუმი ფინალ თასის მფლობელს ვერც კი მიუახლოვდა.

დინამოელთა შორის 17 ქულით ბომბარდირი გახდა სერბი ფორვარდი მაქსიმ კოვაჩევიჩი. მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი გიორგი შარაბიძემ (12 ქულა და 10 მოხსნა) გაიფორმა.

ტიტულთან ერთად დინამომ 50.000 ლარიც მოიგო, რომელიც პირველად, თასის გათამაშების ისტორიაში კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამარჯვებულისთვის დააწესა. მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. დინამოელები თასის ფორმის მედლებით ვეტერანმა კალათბურთელმა ნოდარ ქორქიამ დააჯილდოვა.

რადიო „ჯაკოს“ მიერ ჩემპიონი გუნდის ბომბარდირისთვის დაწესებული კოტე მახარაძის სახელობის თასი დინამოელ მაქსიმ კოვაჩევიჩს ცნობილმა ჟურნალისტმა ჯამლეტ ხუხაშვილმა გადასცა.

ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ გიორგი შარაბიძე დასახელდა, რომელიც დინამოს ყოფილმა მოთამაშემ და მწვრთნელმა, ვეტერანმა კალათბურთელმა, ლევან მოსეშვილმა სპეციალური პრიზით დააჯილდოვა.

დაბოლოს, დინამოელთა კაპიტან ილია ლონდარიძეს საჩემპიონო თასი კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი ქართველიშვილმა გადასცა.

# აუტსაიდერებმა ქულები ისევ დაკარგეს

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.



**მერანი – საბურთალო 2:5**

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, ორბელაძე, გიორგაძე (შენგელია 61), ციმაკურიძე, გოგუაძე (კიკნაველიძე 88), ტეიდი, ჯიქია, ხაბელაშვილი (უგულავა 63), ჩიმაკაძე, საბანაძე

**საბურთალო:** ქურდაძე, თოთაძე, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, გოშთელიანი, ფანცულაია (კოხრეიძე 66), ბიძინაშვილი (იაშვილი 41), ელვინ ტერა (ცაცკრიალაშვილი 80), ხარაიშვილი, რუხაძე, სოფრომაძე

0:1 რუხაძე (14), 1:1 ჩიმაკაძე (21), 1:2, 1:3 გოშთელიანი (53, 58), 2:3 ჩიმაკაძე (72), 2:4 ხარაიშვილი (75), 2:5 ცაცკრიალაშვილი (90)

ქულები მერანს უფრო სჭირდებოდა, მაგრამ საბურთალოს ახალგაზრდულმა გუნდმა ისე ითამაშა, რომ ფეარ პლეი არ დაარღვია და მარტვილში დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე.

ანგარიში ირაკლი რუხაძემ გახსნა, რასაც ბესიკ ჩიმაკაძემ უპასუხა და ტაიმიც ასე მორჩა.

თითქოს მე-2 ნახევარში მასპინძლებს მოსაგებად დრო ჰქონდათ, მაგრამ დასაწყისშივე გოშთელიანმა დუბლი მიითვალა და მარტვილელებს ყველა იმედი გადაუწურა. შემდეგი გოლი გიორგი ხარაიშვილის იყო. დუბლი შეასრულა ჩიმაკაძემაც, მაგრამ რატი ცაცკრიალაშვილმა საბურთალოელთა დიდი ანგარიშით მოგება ბოლო წუთზე დააფიქსირა.

**დილა – საპოვნელა 3:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ღონღაძე (14), 1:1 ბუხაიძე (64), 2:1 ნონიკაშვილი (86), 3:1 მოდებაძე (87)

**დილა:** ლეგაშვილი, კვირკველია, ღონღაძე, ბაგაევი, სამხარაძე, ძარია (მაშუკოვი 75), თექთურმანიძე (ნონიკაშვილი 64), ფალავანდიშვილი, წიქარიძე, მარცვალაძე (ჩელებაძე 82), მოდებაძე

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ბერუაშვილი (ლ.ჭელიძე 75), ენდელაძე, ნარიმანიძე, ბანძელაძე, ქათამაძე, გულუა, მაკარიძე (ბიბილეიშვილი 54), ტყეშელაშვილი, ბუხაიძე

გაუჭირდა დილას მოგება – გორელებმა ლევან ნონიკაშვილისა და ირაკლი მოდებაძის გვიანი გოლებით მოიგეს.

მანამდე თემურ ღონღაძემ და გიორგი ბუხაიძემ გაიტანეს და თითქოს საპოვნელას მნიშვნელოვანი ქულა უნდა წაეღო ქართლიდან, მაგრამ...

**ზუგდიდი – ლოკომოტივი 1:1**

**ზემო ეწერი. ცენტრალური**

1:0 ტყემალაძე (45), 1:1 დიასამიძე (74)

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ჩუკვურა, ქანთარია, მალანია, ტყემალაძე, წურწუმია (თუთბერიძე 80), სამუშია, მალანია (ჩებოტარევი 64), კოვალენკო, ქობალია (შეველი 67)

**ლოკომოტივი:** კუპატაძე, ფოფხაძე, მახარაძე, გაბაძე, ჭანტურია, დიასამიძე, მზევაშვილი (სულთანიშვილი 80), უბილავა, ქიქავა, სამურკასოვი (გავაშელიშვილი 46), ქანთარია (კიკნაძე 74)

ზუგდიდელები მოგებით სატურნირო ცხრილს გამოიკეთებდნენ, მაგრამ საშინაო 3 ქულის აღება ვერ მოახერხეს. თუმცა, ახლოს იყვნენ – მასპინძლებმა ვაკო ტყემალაძის გოლით პირველი ტაიმი მოიგეს, მაგრამ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე გეგა დიასამიძემ თანაფარდობა აღადგინა.

**დინამო (ბთ) – შუქურა 2:2**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

1:0 კომაზეცი (25), 1:1 თარხნიშვილი (26პ), 2:1 შონია (43), 2:2 ურიდია (81)

**დინამო:** ალავიძე, მგელაძე (მიჰაილოვიჩი 64), სუხიაშვილი, ტვილდიანი, შონია, ქავთარაძე (მაქაცარია 69), გოგიტიძე, თევდორაძე, კაშია (ჭკუასელი 62), ფონიავა, კომაზეცი

**შუქურა:** ჯიოევი, აფაქიძე, მალანია, დოლიძე, პუკანიჩი, ჩალაძე, გეწაძე (ურიდია 46), თარხნიშვილი, მოსიაშვილი (კერძევაძე 46), კომახიძე, ლობჟანიძე

ზღვისპირულ დერბის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ვაისი დაესწრო, რომელმაც 4 გოლი კი იხილა, მაგრამ რა შთაბეჭდილება დარჩა ჩვენს ჩემპიონატზე, ამას მოგვიანებით შევიტყობთ.

მატჩი კი საინტერესო გამოდგა: ბათუმელები ორჯერ უგებდნენ შუქურას ქობულეთში, სადაც მასპინძლები თავად იყვნენ, მაგრამ 3 ქულა ვერ შეინარჩუნეს.

**ცხინვალი – გურია 0:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**ცხინვალი:** ნადირაძე, ჯაფარიძე, კაკუბავა, ბაჩიაშვილი, გორგიაშვილი, ბეჭვაია, ლექვთაძე, ქოჩლაძე (ლობჯანიძე 74), ქარდავა, ივანიშვილი, ისიანი (გაბრიჩიძე 54)

**გურია:** იოვანოვიჩი, ჩადუნელი, კაბორე, ნოზაძე (გელაშვილი 76), ზოზულია (შტანდერი 81), მოროზენკო, კვეკვესკირი, კილაძე, გამყრელიძე, ალავერდაშვილი, პანებენგ-ფოდოუპი

უგოლო და უინტერესო მატჩი, სადაც უფრო კმაყოფილი გურია უნდა დარჩენილიყო, რომელმაც უახლოეს მდევარ მერანთან სხვაობა 6 ქულამდე გაზარდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 25 | 21 | 1 | 3 | 64-23 | 64 |
| 2.სამტრედია | 25 | 17 | 2 | 6 | 57-28 | 53 |
| 3.დილა | 26 | 16 | 5 | 5 | 42-21 | 53 |
| 4.სიონი | 25 | 13 | 7 | 5 | 45-26 | 46 |
| 5.ჩიხურა | 25 | 14 | 4 | 7 | 43-21 | 46 |
| 6.ცხინვალი | 26 | 10 | 9 | 7 | 41-32 | 39 |
| 7.დინამო (ბთ) | 26 | 10 | 7 | 9 | 37-29 | 37 |
| 8.საბურთალო | 26 | 10 | 6 | 10 | 44-52 | 36 |
| 9.შუქურა | 26 | 9 | 8 | 9 | 26-28 | 35 |
| 10.ტორპედო | 25 | 9 | 6 | 10 | 35-38 | 33 |
| 11.კოლხეთი | 25 | 7 | 5 | 13 | 18-31 | 26 |
| 12.ლოკომოტივი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-31 | 24 |
| 13.გურია | 26 | 5 | 9 | 12 | 24-41 | 24 |
| 14.მერანი | 26 | 4 | 6 | 16 | 24-56 | 18 |
| 15.ზუგდიდი | 26 | 3 | 8 | 15 | 25-55 | 17 |
| 16.საპოვნელა | 26 | 3 | 6 | 17 | 17-54 | 15 |

# მოჭიდავეებმა საქართველოს 2 ლიცენზია შემატეს



საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს კიდევ 2 ლიცენზია აქვს: ზურაბ იაკობაშვილი (65) ულან ბატორში მიმდინარე მსოფლიოს სალიცენზიო ტურნირზე ფინალში გავიდა, რითაც რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის საგზური მოიპოვა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის ეს მე-6 ლიცენზიაა ანუ ისინი ბრაზილიაში სრული გუნდით გამოვლენ.

იაკობაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი 4:1 დაამარცხა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სომეხი დავიდ საფარიანი. შემდეგ ჩვენებურმა ფრანგ იური სიმაკინს (3:1) აჯობა, ნახევარფინალში კი – ბულგარელ ბორისლავ სტეფანოვ ნოვაჩკოვს (5:4).

იაკობაშვილი კი ფინალში ამჟამად ბაჰრეინის სახელით მოჭიდავე ადამ ბატიროვს შეხვდება.

ულან ბატორში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა კიდევ ერთი ლიცენზია მოიპოვა – ეს 98 კილოგრამ წონით კატეგორიაში რევაზ ნადარეიშვილმა მოახერხა.

ჩვენებურმა რიოსკენ სვლა ნორვეგიელი მარტინ ჰამლეტ ნილსენს (3:1) ძლევით დაიწყო, შემდეგ ყირგიზ უზურ ჯუზუპბეკოვს და პოლონელ რადოსლავ პაველ გრჟიბსკისაც ერთნაირი ანგარიშით (6:0) აჯობა, ნახევარფინალში კი შვედ კარლ ფრედრიკს სტეფან შოენსაც (4:1) გაუსწორდა და ლიცენზია ფინალში გასვლით მიიღო, სადაც ბელორუს ალექსანდრ ჰრაბოვიცკისთან დათმო შეხვედრა.

# შედეგები

## 23 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-სტოკი ........ 4:0
ასტონ ვილა-საუთჰემპტონი ........ 2:4
ბორნმუთი-ჩელსი ........ 1:4
ლივერპული-ნიუკასლი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 59-33 | 73 |
| 2.ტოტენჰემი | 34 | 19 | 11 | 4 | 64-25 | 68 |
| 3.სიტი | 35 | 19 | 7 | 9 | 66-34 | 64 |
| 4.არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 58-34 | 63 |
| 5.მანჩესტერი | 34 | 17 | 8 | 9 | 42-30 | 59 |
| 6.ვესტ ჰემი | 34 | 14 | 14 | 6 | 57-43 | 56 |
| 7.ლივერპული | 34 | 15 | 10 | 9 | 58-45 | 55 |
| 8.საუთჰემპტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 49-37 | 54 |
| 9.ჩელსი | 34 | 12 | 11 | 11 | 53-46 | 47 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 8 | 14 | 37-51 | 47 |
| 11.ევერტონი | 34 | 9 | 14 | 11 | 53-48 | 41 |
| 12.უოტფორდი | 34 | 11 | 8 | 15 | 33-40 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 35 | 11 | 8 | 16 | 42-61 | 41 |
| 14.სუონსი | 34 | 10 | 10 | 14 | 34-45 | 40 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 10 | 10 | 14 | 31-42 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 35 | 10 | 9 | 16 | 36-45 | 39 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-57 | 30 |
| 19.ნიუკასლი | 35 | 7 | 9 | 19 | 38-64 | 30 |
| 20.ასტონ ვილა | 35 | 3 | 7 | 25 | 25-69 | 16 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-რეალი ........ 2:3
ატლეტიკო-მალაგა ........ 1:0
ბარსელონა-ხიხონი ........ 6:5
ეიბარი-დეპორტივო ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 26 | 4 | 5 | 102-29 | 82 |
| 2.ატლეტიკო | 35 | 26 | 4 | 5 | 59-16 | 82 |
| 3.რეალი | 35 | 25 | 6 | 4 | 104-32 | 81 |
| 4.ვილარეალი | 34 | 17 | 9 | 8 | 42-31 | 60 |
| 5.ბილბაო | 34 | 16 | 6 | 12 | 51-41 | 54 |
| 6.სელტა | 34 | 15 | 9 | 10 | 47-54 | 54 |
| 7.სევილია | 34 | 13 | 10 | 11 | 47-42 | 49 |
| 8.ლას პალმასი | 35 | 12 | 7 | 16 | 42-46 | 43 |
| 9.ვალენსია | 34 | 11 | 10 | 13 | 42-40 | 43 |
| 10.მალაგა | 35 | 10 | 12 | 13 | 31-32 | 42 |
| 11.ეიბარი | 35 | 11 | 9 | 15 | 46-54 | 42 |
| 12.სოსიედადი | 34 | 11 | 8 | 15 | 42-46 | 41 |
| 13.ბეტისი | 34 | 10 | 11 | 13 | 31-46 | 41 |
| 14.დეპორტივო | 35 | 7 | 18 | 10 | 43-57 | 39 |
| 15.ესპანიოლი | 35 | 10 | 7 | 18 | 35-67 | 37 |
| 16.რაიო | 35 | 8 | 11 | 16 | 48-69 | 35 |
| 17.გრანადა | 34 | 8 | 9 | 17 | 38-61 | 33 |
| 18.ხიხონი | 35 | 8 | 8 | 19 | 35-61 | 32 |
| 19.ხეტაფე | 34 | 8 | 7 | 19 | 31-62 | 31 |
| 20.ლევანტე | 34 | 7 | 7 | 20 | 31-61 | 28 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-აუგსბურგი ........ 0:2
შტუტგარტი-დორტმუნდი ........ 0:3
კიოლნი-დარმშტადტი ........ 4:1
ჰერტა-ბაიერნი ........ 0:2
ინგოლშტადტი-ჰანოვერი ........ 2:2
შალკე-ლევერკუზენი ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 26 | 3 | 2 | 74-14 | 81 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 23 | 5 | 3 | 75-30 | 74 |
| 3.ლევერკუზენი | 31 | 16 | 6 | 9 | 50-35 | 54 |
| 4.ჰერტა | 31 | 14 | 7 | 10 | 40-38 | 49 |
| 5.გლადბახი | 30 | 14 | 3 | 13 | 59-47 | 45 |
| 6.მაინცი | 30 | 13 | 6 | 11 | 42-39 | 45 |
| 7.შალკე | 31 | 13 | 6 | 12 | 43-46 | 45 |
| 8.კიოლნი | 31 | 10 | 10 | 11 | 36-40 | 40 |
| 9.ინგოლშტადტი | 31 | 10 | 10 | 11 | 29-35 | 40 |
| 10.ვოლფსბურგი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-43 | 39 |
| 11.ჰამბურგი | 31 | 10 | 7 | 14 | 37-44 | 37 |
| 12.აუგსბურგი | 31 | 9 | 9 | 13 | 40-48 | 36 |
| 13.დარმშტადტი | 31 | 8 | 11 | 12 | 35-48 | 35 |
| 14.ჰოფენჰაიმი | 30 | 8 | 10 | 12 | 35-45 | 34 |
| 15.შტუტგარტი | 31 | 9 | 6 | 16 | 46-63 | 33 |
| 16.ვერდერი | 31 | 8 | 7 | 16 | 43-63 | 31 |
| 17.აინტრახტი | 30 | 6 | 9 | 15 | 29-49 | 27 |
| 18.ჰანოვერი | 31 | 6 | 4 | 21 | 28-56 | 22 |

**იტალია. სერია ა**

ინტერი-უდინეზე ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 26 | 4 | 4 | 65-17 | 82 |
| 2.ნაპოლი | 34 | 22 | 7 | 5 | 72-29 | 73 |
| 3.რომა | 34 | 19 | 11 | 4 | 73-38 | 68 |
| 4.ინტერი | 35 | 19 | 7 | 9 | 47-32 | 64 |
| 5.ფიორენტინა | 34 | 17 | 8 | 9 | 55-38 | 59 |
| 6.მილანი | 34 | 14 | 11 | 9 | 43-35 | 53 |
| 7.სასუოლო | 34 | 12 | 13 | 9 | 41-38 | 49 |
| 8.კიევო | 34 | 13 | 9 | 12 | 43-41 | 48 |
| 9.ლაციო | 34 | 13 | 9 | 12 | 44-45 | 48 |
| 10.ჯენოა | 34 | 12 | 7 | 15 | 39-41 | 43 |
| 11.ტორინო | 34 | 11 | 9 | 14 | 44-47 | 42 |
| 12.ემპოლი | 34 | 11 | 9 | 14 | 37-45 | 42 |
| 13.ატალანტა | 34 | 9 | 11 | 14 | 36-43 | 38 |
| 14.უდინეზე | 35 | 10 | 8 | 17 | 32-52 | 38 |
| 15.სამპდორია | 34 | 9 | 10 | 15 | 46-50 | 37 |
| 16.ბოლონია | 34 | 10 | 7 | 17 | 31-44 | 37 |
| 17.კარპი | 34 | 7 | 11 | 16 | 33-51 | 32 |
| 18.ფროზინონე | 34 | 8 | 6 | 20 | 32-66 | 30 |
| 19.პალერმო | 34 | 7 | 8 | 19 | 31-63 | 29 |
| 20.ვერონა | 34 | 3 | 13 | 18 | 28-57 | 22 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

**ფინალი**

პსჟ-ლილი ........ 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-ლიონი ........ 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 27 | 5 | 2 | 89-18 | 86 |
| 2.ლიონი | 35 | 17 | 8 | 10 | 58-37 | 59 |
| 3.მონაკო | 34 | 15 | 13 | 6 | 50-41 | 58 |
| 4.ნიცა | 35 | 16 | 9 | 10 | 53-38 | 57 |
| 5.სტ.ეტიენი | 34 | 16 | 6 | 12 | 40-34 | 54 |
| 6.ლილი | 34 | 13 | 13 | 8 | 37-27 | 52 |
| 7.რენი | 34 | 13 | 12 | 9 | 50-45 | 51 |
| 8.ანჟე | 34 | 13 | 10 | 11 | 38-33 | 49 |
| 9.კაენი | 34 | 14 | 4 | 16 | 35-50 | 46 |
| 10.ნანტი | 34 | 11 | 11 | 12 | 30-37 | 44 |
| 11.ლორიანი | 34 | 10 | 13 | 11 | 46-52 | 43 |
| 12.ბასტია | 34 | 12 | 7 | 15 | 31-38 | 43 |
| 13.ბორდო | 34 | 10 | 13 | 11 | 42-53 | 43 |
| 14.გენგამი | 34 | 11 | 9 | 14 | 42-49 | 42 |
| 15.მარსელი | 34 | 8 | 16 | 10 | 44-40 | 40 |
| 16.მონპელიე | 34 | 11 | 7 | 16 | 40-42 | 40 |
| 17.რეიმსი | 35 | 9 | 9 | 17 | 38-52 | 36 |
| 18.გაზელეკი | 34 | 7 | 13 | 14 | 33-49 | 34 |
| 19.ტულუზა | 35 | 7 | 12 | 16 | 41-53 | 33 |
| 20.ტრუა | 34 | 3 | 8 | 23 | 24-73 | 17 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

აკადემიკა-პორტუ ........ 1:2
სპორტინგი-მადეირა ........ 2:0
ფერეირა-ბრაგა ........ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

კრილია-ურალი ........ 1:1
სპარტაკი-მორდოვია ........ 2:2
რუბინი-ტერეკი ........ 0:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

მოზერველი-ჰართსი ........ 1:0
პარტიკი-დანდი ........ 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ლუგანო ........ 3:1
გრასჰოპერსი-სტ.გალენი ........ 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-აუსტრია ........ 0:9
გროდიგი-ვოლფსბერგერი ........ 0:1
ალტახი-ზალცბურგი ........ 1:3
რიდი-ადმირა ........ 1:0

**ბელგია. იუპილიგა**

ბრიუგე-ვარეგემი ........ 5:0
კორტრაიკი-ბევერენი ........ 5:0
სტ.ტრუიდენი-ლოკერენი ........ 2:2
შარლერუა-მეხელენი ........ 4:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ოსმანლი-ანთალია ........ 3:0
ბაშაკშეჰირი-სივასი ........ 2:2
აკხისარი-ბეშიქთაში ........ 3:3

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ბანიკი-ლიბერეცი ........ 0:2
იიჰლავა-ბოჰემიანსი 1905 ........ 1:2
იაბლონეცი-სლოვაცკო ........ 3:1
სლავია-ტეპლიცე ........ 2:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-ლეხი ........ 1:0
კორონა-ლეჩნა ........ 1:1
პოდბესკიჟიე-შლიონსკი ........ 1:2

**უკრაინა. პარი-მატჩ ლიგა**

კარპატი-ჰოვერლა ........ 3:0
სტალი-მეტალისტი ........ 0:0
ჩერნომორეცი-შახტარი ........ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ჰობრო-ესბიერგი ........ 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-ესტერსუნდი ........ 0:0
ჰამარბი-იონჩოპინგი ........ 1:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სტრომგოდსეტი-ბოდო გლიმტი ........ 2:0
ბრანი-სონგდალი ........ 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ქუთაისმა ბათუმს მოუგო და ცხრილში გაასწრო

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ქუთაისი – ბათუმი 76:73**
**(31:20; 5:23; 24:14; 16:16)**

ძალიან პრინციპულ მატჩს უმასპინძლა ქუთაისმა. რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად მებრძოლმა გუნდებმა ითამაშეს. ლიდერის პოზიაციაზე მყოფ აჭარულ გუნდს ქუთაისელებმა 76:73 მოუგეს და პირველ ადგილზე თავად გადაინაცვლეს.

ქუთაისელთა მეტოქე ბოლო ტურში დინამოა, რომლის დამარცხების შემთხვევაშიც კოტე ტუღუშის გუნდი პირველობას გაინაღდებს და პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა ექნება.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარმართა. პირველი პერიოდი მასპინძელმა ქუთაისელებმა 31:20 მოიგეს, თუმცა მომდევნო პერიოდში ბათუმელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და ათწუთეულის 23:5 მოგებით დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.



მთავარი ამბები მეორე ტაიმში მოხდა. მატჩი თანაბრად, ქულა-ქულა ბრძოლაში გაგრძელდა და ბოლო წუთებზე მეტად მობილიზებულმა მასპინძლებმა იმარჯვეს. გუნდური თამაშის წყალობით კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

ქუთაისელებს აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა, ზაურ ფაშაევმა ულიდერა, რომელმაც 26 ქულა მიითვალა. 10-10 ქულა მიითვალეს ბექა ბექაურმა და გიორგი ბარბაქაძემ. ბათუმელებში 15 ქულით ბომბარდირი ბესო ლეჟავა გახდა.

**აკადემია – რუსთავი 83:101**
**(16:31; 23:22; 17:27; 25:23)**

ერთმანეთს პლეი ოფს მიღმა დარჩენილი გუნდები შეხვდნენ. ქვემოქართლურმა გუნდმა 2 ტურის წინ დაკარგა ოთხეულში გასვლის შანსი, როცა შინ მგზავრებთან წააგო, ხოლო აკადემიელები ბოლო ადგილზე არიან და დიდი ალბათობით, სუპერლიგას დატოვებენ.

მატჩმა ზედმეტი ემოციების გარეშე ჩაიარა. გუნდიდან ლეგიონერების გაშვების შემდეგ გიორგი ნიკოლაძის გაწვრთნილი აკადემიელები ახალგაზრდა, სუპერლიგაში გამოუცდელი მოთამაშეების ამარა დარჩნენ. მხოლოდ აკაკი ლომოური და მერაბ ბოქოლიშვილია, რომლებსაც ბოლო წლებია, სუპერლიგაში უთამაშიათ. რაც შეეხებათ რუსთაველებს, ქვემოქართლურ გუნდს 2 უმაღლესი დონის ლეგიონერი ჰყავთ და მიუხედავად პლეი ოფს მიღმა დარჩენისა, გუნდიდან არც არავინ გაუშვიათ.

რუსთავმა 103:81 გაიმარჯვა, ხოლო ბომბარდირი 26 ქულით ნიკოლა გაჩეშა გახდა, რომელმაც 11 მოხსნაც მიითვალა. 24 ქულით აკადემიაში მერაბ ბოქოლიშვილი გამოირჩა, ხოლო აკაკი ლომოურმა შეხვედრა 18 ქულითა და ამდენივე მოხსნით დაასრულა.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, 28-ე ტური 26 და 27 აპრილს რუსთავსა და თბილისში გაიმართება, რის შემდეგაც მცირე შესვენება გამოცხადდება და თამაშები პლეი ოფიდან გაგრძელდება.

ნახევარფინალს მიღმა დარჩენილ გუნდებს რეგულარულში დაგროვილი ქულები შეუნარჩუნდებათ და ერთმანეთში დამატებით 2 წრეს ითამაშებენ, რის შემდეგაც ბოლო ადგილზე მყოფი გუნდი სუპერლიგას დატოვებს.

**სატურნირო ცხრილში:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 27 | 18 | 9 | 2117-2006 | 45 |
| 2.ბათუმი | 27 | 18 | 9 | 2163-2003 | 45 |
| 3.დინამო | 27 | 17 | 10 | 1998-1898 | 44 |
| 4.სოხუმი | 27 | 15 | 12 | 2072-1928 | 42 |
| 5.რუსთავი | 27 | 13 | 14 | 2067-2035 | 40 |
| 6.მგზავრები | 27 | 13 | 14 | 1967-2068 | 40 |
| 7.ოლიმპი | 27 | 9 | 18 | 1989-2115 | 36 |
| 8.აკადემია | 27 | 5 | 22 | 1979-2299 | 32 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კალეიდოსკოპი

### ავსტრალიაში ყველაზე ასაკოვანი ძაღლი მოკვდა

ავსტრალიაში 30 წლის ასაკში მოკვდა ძაღლი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულად ითვლებოდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ.



ავსტრალიური კელი, სახელად მეგი, ბრაიან მაკლარენის ფერმაში ბინადრობდა, რომელიც შტატ ვიქტორიაში მდებარეობს. ძაღლის პატრონის თქმით, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ძაღლი დადიოდა და კატებსაც კი უღრენდა. თუ ადამიანის ასაკზე გადავიანგარიშებთ, მეგი დაახლოებით 200 წლის იყო.

მაკლარენის თქმით, მისთვის ძაღლი ახლო მეგობარივით იყო. მან მეგი ფიჭვის ქვეშ, თავისი მეორე ძაღლის გვერდით დაასაფლავა.

მეგი მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ ძაღლად ითვლებოდა. მართალია, მაკლარენმა მისი საბუთები დაკარგა, მაგრამ, კარგად ახსოვდა, რომ ლეკვი თავისი ოთხი წლის შვილისთვის იყიდა, რომელიც ამჟამად 34 წლისაა.

ოფიციალურად ყველაზე ხანდაზმულ ძაღლად კიდევ ერთი ავსტრალიური ძაღლი, სახელად ბლიუი ითვლება, რომელიც ამჟამად 29 წლისა და 5 თვისაა.

### სამხრეთ ინგლისში ოთხი წლის ბავშვებს სქესის გარკვევა მოსთხოვეს

ინგლისის ქალაქ ბრაიტონ-და-ჰოვში, რომელიც ქვეყნის სამხრეთში მდებარეობს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომავალი სკოლის მოსწავლეების მშობლებს ბავშვებთან ერთად მოსთხოვა ანკეტების შევსება. მასში ოთხი წლის ბავშვებს უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რომელ სქესს განეკუთვნებიან.



– თუ თქვენი ბავშვი თავს საშუალო სქესის ადამიანად გრძნობს, შეგიძლიათ, ანკეტა არ შეავსოთ და ამ თემაზე თქვენი სკოლის წარმომადგენელთან იმსჯელოთ, – ნათქვამია წერილში.

ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივამ მრავალი მშობლის უკმაყოფილება გამოიწვია.

– ისინი ხომ მოზრდილები არ არიან. აცადეთ მათ, საკუთარი უმწიკვლოებით დატკბნენ, – განაცხადა ერთ-ერთი ბავშვის დედამ.

ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ენდრიუ ბრიჯენმა კი ადგილობრივი ხელისუფლების ამ წამოწყებას „აბსოლუტური სიბეცე“ უწოდა.

– სკოლაში ბავშვებს წერა-კითხვას უნდა ასწავლიდნენ და არა სქესის შეცვლისკენ უბიძგებდნენ, – განაცხადა ბრიტანელმა პარლამენტარმა.

### პლასტიკური ოპერაციების მოყვარული ბრიტანელი კოსმეტოლოგი გახდა

ლონდონის მცხოვრებმა, რომელმაც საკუთარი გარეგნობის სრულყოფაზე 700 ათას დოლარზე მეტი დახარჯა, საკუთარი ბინა კოსმეტიკური პროცედურებისთვის საჭირო მოწყობილობებით აღჭურვა.



55 წლის სარა ბერჯმა, რომელმაც 150-ზე მეტი პლასტიკური ოპერაცია გადაიტანა, პროფილური განათლება მიიღო, რათა პროცედურები დამოუკიდებლად ჩაიტაროს. სამი შვილის დედამ ბოტოქსის ინექციის გაკეთების, ცხვირის, ტუჩებისა და ლოყების ფორმის შეცვლის უფლება მოიპოვა. ბრიტანელი ქალბატონის თქმით, მან აუცილებელი კვალიფიკაცია იმისთვის მიიღო, რომ ქალებს, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ, დახმარება აღმოუჩინოს.

ბერჯმა აღიარა, რომ ის პროცედურებზე დამოკიდებული გახდა მას შემდეგ, რაც თავად გახდა ძალადობის მსხვერპლი (ქალს თავს დაესხნენ და სახე დაუმახინჯეს). ის არ აპირებს, შეწყვიტოს საკუთარი გარეგნობის სრულყოფაზე მუშაობა.

– პლასტიკურმა ქირურგიამ სასურველი სახე და სხეული მიმაღებინა. ახლა უკვე მსურს, თავად დავეხმარო სხვებს, – განაცხადა ბრიტანელმა ქალბატონმა.

### „მის პერუს“ ფინალისტი 95 კილოგრამს იწონის

95 კილოგრამის წონის მირელა პას ბეილონი კონკურს „მის პერუს“ ფინალში გავიდა. ის კონკურსის ისტორიაში პირველი სრული ტანის მქონე გოგონა გახდა, რომელმაც გამარჯვებულის გამოსავლენ ეტაპამდე მიაღწია.



19 წლის მირელა ათ პერუელ გოგონას შორის ერთ-ერთია, რომლებიც სილამაზის დედოფლის გვირგვინისთვის იბრძოლებენ. ფინალისტები 30 კონკურენტს შორის შეირჩნენ.

– მადლობა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჩემთვის ეს შანსი, – განუცხადა მადლობის ნიშნად ჟიურისა და მაყურებლებს გოგონამ კონკურსის ფინალში მოხვედრის შემდეგ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
## 25 აპრილისთვის



**ვერძი** – ძალიან მძიმე დღეა, განსაკუთრებით – ფინანსური თვალსაზრისით. საყიდლებზე წასვლა კატეგორიულად აკრძალულია. მოსალოდნელია კონფლიქტი თქვენთვის უცნობ ადამიანებთან. **კურო** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ზედმეტ კონტაქტებს. არც სამოგზაუროდ წასვლას გირჩევთ. **ტყუპები** – წვრილმანებს ნუ გამოეკიდებით. არ ღირს უბრალო რამეზე ნერვების აშლა. თუ გარშემომყოფებისადმი სითბოთი და ნდობით განიმსჭვალებით, საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. **კირჩხიბი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ყველა საქმე მშვიდად და აუჩქარებლად აკეთეთ. გელით კონფლიქტი ნათესავებთან და მეგობრებთან. **ლომი** – ნერვებს გაუფრთხილდით, მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. აფორიაქებული ხართ. მომავლის გეგმებს ნუ დასახავთ. **ქალწული** – გრძელვადიანი გეგმებისთვის შეუფერებელი პერიოდია. თქვენი ყველა პრობლემა ფინანსურ დანაკარგებს უკავშირდება. **სასწორი** – ავტორიტეტს გაუფრთხილდით. ზედმეტი მიამიტობა და მიმნდობი ბუნება დღეს ზიანს მოგიტანთ. ერიდეთ მატყუარა ადამიანებს. ისწრაფეთ სრულყოფილებისკენ. **ღრიანკალი** – საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. **თხის რქა** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **მერწყული** – იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



1... ქერი; 2. ჰიგიენური დაწესებულება; 3. გადასახური მასალა; 4. ... ღაღანიძე; 5. სამოსელის ნაწილი; 6. ჰო, დიახ (ინგლისურად); 7. მუშაობის საზომი ერთეული; 8. „... შინა და ... გარეთა“; 9. ოლქი იტალიაში; 10. კონცერტის გასამართი სცენა; 11. ქართულიც, რუსულიც, ინგლისურიც; 12. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 13. რაიმე თანამდებობაზე ასარჩევად ნავარაუდევი პირი; 14. სურათი ზღვის ხედით; 15. ... კუროსავა; 16. მცენარე ჯგუფური ყვითელი ყვავილებით; 17. სახოტბო ლექსი; 18. ბუნებრივი საღებავი; 19. თავდები; 20. ავა ...; 21. განაყოფიერების შედეგად წარმოქმნილი უჯრედი; 22. თილისმა; 23. პარკოსანი კულტურა; 24. ვაგონი; 25. ნაცარტუტაში გამოხარშული ხის სოკო; 26. კაშკაშა მეტეორი; 27. მშიშარა, ყურცქვიტა ცხოველი; 28. ქალაქი გერმანიაში; 29. ოთხიანი კამათელზე; 30. ყვავილი; 31. სიმებიანი ხემიანი საკრავი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. გიურზა; 4. პიუზო; 5. ციხეგოჯი; 8. პითაგორა; 12. ბორი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. გრინვიჩი; 18. ჯეზვე; 20. რენო.

**თარაზულად:** 6. „ფუკუსიმა“; 7. გრინვიჩი; 8. პლეადა; 9. ვაისი; 10. ცერცვაძე; 11. მონბლანი; 15. მასტროიანი; 17. ქინქლა; 19. „ზვარტნოცი“; 21. დარბაზი; 22. კონსტებლი; 23. მორავია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნოთაობა; 2. სელადონი; 3. გრუბერი; 5. „კლარჯულა“; 7. ეტალონი; 9. ბოტულიზმი; 13. მიკრობი; 15. ტორერო; 16. არენდა; 18. ალალი.

**თარაზულად:** 4. მორიკონე; 6. კვესტურა; 8. „პანჩატანტრა“; 10. „სალხინო“; 11. ტარო; 12. ენგური; 14. ოტელო; 17. რიტმი; 19. ურანი; 20. ენოლოგია; 21. „იკაო“; 22. ბოგდიხანი; 23. ცისკარი.

## ნინი წიკლაურმა ტრავმა მიიღო



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონი ტრავმებით დახუნძლული აღმოჩნდა მასში მონაწილეებისთვის. მოდელ ანა ახვლედიანის შემდეგ მომღერალმა ნინი წიკლაურმა ახალ ცეკვაზე მუშაობისას ტრავმა მიიღო. ნინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა.

ინფორმაცია „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– პროექტის მონაწილე ნინი წიკლაურმა რეპეტიციის დროს ურთულესი ტრიუკის შესრულებისას მიიღო ტრავმა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ნინი ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გადაიყვანა, სადაც მას ჩაუტარდა კლინიკო-დიაგნოზური კვლევები.

ნინი ამჟამად თავს უკეთ გრძნობს, შეძლებს თუ არა ორშაბათს პირდაპირ ეთერში ცეკვას, ამას მალე გავიგებთ.

მომხდართან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა ნინი წიკლაურმა:

– ღვთის წყალობით, გადავრჩი, მაქსიმალურად შევეცდები, ტკივილი მოვითმინო და როგორმე ვიცეკვო. მადლობა ყველა ადამიანს, ვინც შეწუხდა ჩემი ტრავმით. შეიყვარეთ ერთმანეთი. ეს ყველაზე დიდი განძია!

## 50.000 დოლარად გაყიდული ქართველი მხატვრის ნახატი ჰოლანდიაში გამოიფინა



2016 წელი ნიდერლანდელი ფერმწერის, ჰიერონიმუს ბოსხის წლად არის გამოცხადებული და მთელი წლის განმავლობაში ამ იუბილესთან დაკავშირებით ნიდერლანდებში მრავალი სხვადასხვა ღონისძიებაა დაგეგმილი.

ახალგაზრდა ქართველი მხატვრის გიორგი კუხალაშვილის ნამუშევარი ბოსხის თემაზე სახელწოდებით „ჰიერონიმუს ბოსხის სიზმარი“ ნიდერლანდებში გასული წლის შემოდგომაზე საკმაოდ სოლიდურ ფასად, 50.000 დოლარად გაიყიდა.

ნახატმა დიდი დაინტერესება გამოიწვია არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ დამთვალიერებელშიც. საქართველოს ელჩმა ნიდერლანდებში კონსტანტინე სურგულაძემ საზოგადოებას წარუდგინა პროექტი „გიორგი კუხალაშვილი – ჰიერონიმუს ბოსხის სიზმარი“.

ნიდერლანდელი ფერმწერის გარშემო დაგეგმილი ღონისძიებების აღნიშვნაში საქართველოს საელჩოც ჩაერთო. გიორგი კუხალაშვილის ნამუშევარი „ჰიერონიმუს ბოსხის სიზმარი“ ერთი წლის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება საქართველოს საელჩოში, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ქართველი ხელოვანის მიერ დიდი ჰოლანდიელი მხატვრის შესახებ შექმნილ პანოს და მის დამოკიდებულებას ამ მხატვრისადმი.

## სტეფანეს მანქანის დაყადაღებით ემუქრებიან



მომღერალ სტეფანეს მანქანის დაყადაღებით ემუქრებიან. როგორც თავად მომღერალი განმარტავს, კომპანია სითი პარკი და მის მიერ დაკისრებული ჯარიმები ერთ დიდ დაუსრულებელ პრობლემას წარმოადგენს.

**სტეფანე:**

– 2014 წელს ვიყავი ბათუმის შერატონში სამი დღით... შერატონის სადგომზე მეყენა ეგ დღეები მანქანა და თურმე პარკინგის ჯარიმას მიწერდნენ ყოველდღე... ჯამში სამი. შემდეგ ფოსტალიონს ჩემი ძიძისთვის ჩაუბარებია ერთი ქვითარი, სადაც მიუთითებია, რომ დედაჩემმა ჩაიბარა.

გუშინ დამირეკეს, რომ 192 ლარი მაქვს გადასახდელი, დღეს რომ დავრეკე იმათთან ოფისში, თურმე, დღეს კიდევ ორი დააწიეს სასჯელი რაღაც კანტორას, ვერ დავიმახსოვრე და 600 ლარი მაქვს გადასახდელი, თორემ მანქანას დაგიყადაღებთო.

ეს ხომ პატრულის ჯარიმა არ არის, პარკირების ჯარიმაა... ასე ბრმად უნდა ვენდო, არ გავაპროტესტო და გადავიხადო? მით უმეტეს, მე არ ჩამიბარებია არანაირი ქვითარი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

### კალეიდოსკოპი

## სახეგადანერგილ ამერიკელს ადრინდელი გარეგნობა დაუბრუნეს



ამერიკის ინდიანის შტატის მცხოვრებს, ყოფილ ჯარისკაცს, რომელმაც სახის სრული გადანერგვის ოპერაცია გადაიტანა, ადრინდელი გარეგნობა დაუბრუნეს.

მიტჩელ ჰანტერი 2001 წელს საავტომობილო ავარიაში მოყვა. მაშინ მას სახე მთლიანად დაეწვა, დაკარგა მარცხენა ფეხი. 2011 წელს ის მეორე ამერიკელი გახდა, რომელმაც გადაწყვიტა, სახის კანის გადანერგვის 14-საათიანი ოპერაცია გაეკეთებინა, რათა საკუთარი გარეგნობის დაბრუნების შანსი მისცემოდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ყოფილმა ჯარისკაცმა 20-ზე მეტი დამატებითი ოპერაცია გადაიტანა.

35 წლის ჰანტერის თქმით, ახლა მისთვის გაცილებით ადვილია საზოგადოებაში ყოფნა და ადამიანებს შორის თავს კომფორტულად გრძნობს.

– ადრე ჩემს დანახვაზე შეშინებული ბავშვები გარბოდნენ, – განაცხადა ჰანტერმა და ასევე აღნიშნა, რომ კანზე ჩატარებული პროცედურების შემდეგ მას სახეზე მგრძნობელობა დაუბრუნდა.

## უფეხო და უხელო ბრიტანელმა ბატუტზე ხტომაში გაიმარჯვა



ბრიტანეთის ქალაქ დერბის მცხოვრებმა გოგონამ, რომელმაც ბავშვობაში ხელები და ფეხები დაკარგა, მეორე ჯგუფის ინვალიდების ეროვნული სკოლების შეჯიბრებაში ბატუტზე ხტომაში გაიმარჯვა.

12 წლის იზი უილმა კიდურები ექვსი წლის ასაკში დაკარგა, როდესაც მას მოულოდნელად გულის შეტევა დაემართა და რამაც ორგანოების მრავლობითი დაზიანება გამოიწვია. ქირურგები იძულებულნი გახდნენ, მისთვის ხელები და ფეხები მოეკვეთათ მას შემდეგ, რაც მან ბაქტერიული მენინგიტი გადაიტანა. 2011 წელს გოგონას პროთეზები შეურჩიეს, რისი წყალობითაც სიარულის შესაძლებლობა მიეცა, ხოლო მოგვიანებით სპორტში ვარჯიშიც დაიწყო.

მას შემდეგ, რაც უილი მოწყობილობას კარგად დაეუფლა, სკოლაში ბატუტზე მეცადინეობებზე სიარული დაიწყო, რომელიც გაკვეთილების დასრულების შემდეგ ტარდებოდა. ერთი წლის შემდეგ კი მან გადაწყვიტა, შეჯიბრებაში მიეღო მონაწილეობა და პირველი ადგილი დაიკავა.

## ორთოდოქსმა რაბინმა მარიხუანა ქაშერულად აღიარა



ხაიმ კანევსკიმ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ ორთოდოქსულ რაბინად ითვლება, დაადგინა, რომ მარიხუანა ქაშერულ პროდუქტს წარმოადგენს და ებრაულ აღდგომის დღესასწაულზე მისი გამოყენების ნებართვა გასცა.

კანევსკიმ დადებითი პასუხი გასცა მარიხუანის ლეგალიზების მომხრე ჯგუფის მიერ დასმულ შეკითხვას. მან განაცხადა, რომ მისი გამოყენება შეიძლება როგორც საკვებში, ისე მოსაწევად. მცენარის ხელით დასრესისა და დაყნოსვის შემდეგ რაბინმა დაასკვნა, რომ მარიხუანას „სამკურნალო სურნელი“ აქვს და მცენარე დალოცა.

2013 წელს რაბინმა ეფრეიმ ზალმანოვიჩმა ისრაელის ქალაქ მაზკერეტ-ბატიადან დაადგინა, რომ მარიხუანის გავრცელება და გამოყენება ქაშერული საქმეა, თუ ის სამედიცინო მიზნისთვის გამოიყენება და არა სიამოვნების მისაღებად.

## კანიე უესტი პორნოს უხმოდ უყურებს



ამერიკელმა რეპერმა კანიე უესტმა აღიარა, რომ პორნოგრაფიული ფილმების ყურებისას ხმას არასოდეს რთავს. ამის შესახებ მუსიკოსმა ერთ-ერთი ტელეშოუს ეთერში ისაუბრა, რომლის წამყვანიც უესტის მეუღლის კიმ კარდაშიანის და ჰლოია.

მან განმარტა, რომ პორნოფილმებს უხმოდ იმის გამო უყურებს, რომ იმ დროს გვერდით ოთახში ბავშვებს სძინავთ.

– თავდაპირველად დედასთან ვცხოვრობდი, შემდეგ – სიდედრის სახლში. ასე რომ, ყოველთვის მხოლოდ სიუჟეტის ყურებით მიწევდა დაკმაყოფილება, – განაცხადა მუსიკოსმა. მეუღლის აღიარების შემდეგ კიმ კარდაშიანმა ივარაუდა, რომ, ალბათ, ის უპირატესობას პორნომულტფილმებს ანიჭებს იაპონური ანიმეს სტილში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### სპორტი

## ვარლამ ლიპარტელიანი ევროპის 3-გზის ჩემპიონია




საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრი ვარლამ ლიპარტელიანი ევროპის სამგზის ჩემპიონია.

ევროპის ჩემპიონის მორიგი ტიტული 27 წლის ლიპარტელიანმა რუსეთის ქალაქ ყაზანში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვა. ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრაში 90 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ლიპარტელიანმა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, უნგრეთის წარმომადგენელი კრისტიან ტოტი იპონით დაამარცხა.

ამგვარად, 2012 და 2014 წლებში მოპოვებულ ოქროს მედლებს მესამე ოქრო ლიპარტელიანმა 2016 წელს მიუმატა. ქართველი ძიუდოისტისთვის ეს ზედიზედ მე-8 მედალია ევროპის ჩემპიონატებზე (3 ოქრო, 4 ვერცხლი, 1 ბრინჯაო).

ევროპის ჩემპიონატზე პირველ ნომრად განთესილმა ლიპარტელიანმა ოქროს გზაზე, ჯამში, ხუთი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან. ჩემპიონის ტიტულთან ერთად ვარლამმა 400 სარეიტინგო ქულაც მიიღო.

ყაზანში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა მძიმეწონოსანი ლევან მატიაშვილი. მატიაშვილმა ბრინჯაოს მედლისათვის შეხვედრაში ასევე უნგრელ ბარნა ბორს აჯობა, ოქროს მედლისათვის ბრძოლა კი ნახევარფინალში, ოლიმპიურ, მსოფლიოს 8-გზის და ევროპის აწ უკვე 5-გზის ჩემპიონთან, ფრანგ სუპერვარსკვლავ ტედი რინერთან მარცხით შეწყვიტა. ბრინჯაოს მედალმა მატიაშვილს 160 სარეიტინგო ქულა შესძინა. მატიაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე მისი პირველი მედალი მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატის მესამე დღეს ტატამზე საქართველოს ნაკრების კიდევ 2 წევრი – მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილი და ბექა ღვინიაშვილი (100 კგ) გავიდნენ, თუმცა ევროპის შარშანდელი ჩემპიონი ოქრუაშვილი პირველივე წრიდან გამოეთიშა ჩემპიონატს, ახალგაზრდა ღვინიაშვილი კი მეორე წრეში მომავალ ჩემპიონთან, ტიტულოვან ჰოლანდიელ ჰენკ გროლთან დამარცხდა.

ჯამში, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ჩემპიონატი 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა.

მანამდე ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა, ლაშა შავდათუაშვილსა (73 კგ), ავთანდილ ჭრიკიშვილსა (81 კგ) და ესტერ სტამს (70 კგ) უმაღლეს ტიტულამდე თითო გამარჯვება დააკლდათ, ხოლო ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ) მესამე ადგილი დაიკავა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## პროგრამა

ორშაბათი
25 აპრილი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **12.30** "ფერმა" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "მუსიკოლოგოსი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდენი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**კონკორდი: აეროპორტი 79**" (ა.დელონი) **03.10** "პირადი ექიმი"

**08.00** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **09.00** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **10.30** დ/ფ "ტიბეტის ძველი სამეფო" **11.00** მხ/ფ "**გულის მოგზაურობა**" **12.30** დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **13.30** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **17.00** "პოლიტალტერნატივა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** ქ.მხ/ფ "**მაიტა ნასოსი**" **02.45** მხ/ფ "**პრადა და გრძნობები**" **04.30** მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00**X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **23.30, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30** ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. ""**ნამდვილი დეტექტივი**"" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**მძევალი**" **2.20** URBAN STORIES

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.40** ვნების კვირა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მოკ. მხ/ფ "**აღდგომის ბატკანი**" **13.00** სალვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრ.ვავილა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** დ/ფ "ვნების კვირა წმინდა მიწაზე" I ნაწ. **15.55** "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **16.20** ვნების კვირა-დიდი ორშაბათი **17.00** კვირიაკეს სიუჟეტი-წმინდა მიწაზე I ,II ნაწ. **17.45** მართლმადიდებლური კატეხიზმო-ვნების შვიდეული **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ნაზარის უკანასკნელი ლოცვა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** საწინასწარმეტ.ველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული-ორშაბათი **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ორსულობის ტესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ეკატერინა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შენიღბული**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 აპრილისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2318

ევრო — 2.5130

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2044

100 რუსული რუბლი — 3.3673

**ამინდის პროგნოზი 25 აპრილისთვის**





# 25 აპრილიდან მგლის ბილიკი

გაზეთისა და წიგნის ფასი 5 ლარი







# 26 აპრილიდან მარგარეტ ტეთჩერი როგორც თავად იტყოდა

იენ დეილის რედაქციით

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი









## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა
1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება
8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები
15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები
22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა
29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი











# საქართველომ რუსეთს მოუგო და ევროპის ჩემპიონი გახდა



გუშინ, 24 აპრილს, რუსეთში, ყაზანში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გახდა.

ფინალამდე ჩვენმა ნაკრებმა უნგრეთის, საბერძნეთისა და პოლონეთის ნაკრებები დაამარცხა.

ქართველმა ძიუდოისტებმა უნგრეთი ანგარიშით 5:0 დაამარცხეს, საბერძნეთისა და პოლონეთის ნაკრებებს კი 4:1 მოუგეს.

ფინალში ჩვენმა ნაკრებმა რუსეთს ანგარიშით 3:2 სძლია.

პირველი შეხვედრა ვაჟა მარგველაშვილმა დათმო, შემდეგ ნუგზარ ტატალაშვილმა იუკოთი მოიგო, ავთანდილ ჭრიკიშვილმა კი მეტოქე იპონით დაამარცხა, მოქმედმა ევროპის ჩემპიონმა, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა მეტოქე ასევე იპონზე დააგდო, ლევან მატიაშვილს კი დამატებით დროში მსაჯმა გაფრთხილება მისცა და ის მხოლოდ ერთი გაფრთხილებით დამარცხდა.

საქართველოს ნაკრები მერვედ გახდა ევროპის ჩემპიონი.


**ევროპის პირველობის სხვა მასალა იხ. გვ.11**


## იუმორი



კაცმა ქალი სახლში მიიყვანა და ეუბნება:

— აბა, ჩქარა ლოგინში.

— ასე როგორ შეიძლება, — პასუხობს ქალი, — ჯერ წესიერად არ ვიცნობთ ერთმანეთს.

— მერე რა, ლოგინში გავიცნობთ!

— ეგრე არ შეიძლება, ჯერ რამეზე ვისაუბროთ, მაგალითად, ხელოვნებაზე, მუსიკაზე...

— კარგი, პიკასოს ოპერები წაკითხული გაქვს?

— ააარა...

— ჰოდა, აბა, ლოგინში!

•••

ცოლ-ქმარი თეატრში. ქმარი ეკითხება:

— ძვირფასო, მოხერხებულად ზიხარ?

— ჰო, საყვარელო.

— კარგად ხედავ სცენას?

— ჰო, საყვარელო.

— არ გიბერავს?

— არა საყვარელო.

— მოდი, ადგილები გავცვალოთ.

•••

ქმარი ცოლს გამოუტყდა:

— ნატოია, ამდენი ხანია სინდისი მაწუხებს და უნდა გითხრა!

— რა უნდა მითხრა?

— რა და, შენთან რომ ვწვები... ხანდახან სხვა ქალებზე ვფიქრობ.

— შენ მეისპე! შენ ამოწყდი! მე, აბა, სხვასთანაც რომ ვიყო, მაინც შენზე ვფიქრობ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კალეიდოსკოპი



### ნახევრად შიშველი ესპანელი ცეცხლმოდებული ბინის ფანჯრიდან გადმოვარდა და გადარჩა



ესპანეთის პროვინცია გალისიაში ნახევრად შიშველი ქალი მას შემდეგ გადარჩა, რაც ცეცხლწაკიდებული ბინის ფანჯრიდან გადმოვარდა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა თვითმხილველმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ვიდეორგოლში ჩანს, თუ როგორ მოსწყდა ფანჯარას ნახევრად შიშველი ქალი და შენობის მეოთხე სართულიდან ჩამოვარდა. ქალი ქვევით გაჭიმულ ქსოვილზე დაეცა, რომელიც შემთხვევის თვითმხილველებსა და მის ბოიფრენდს ეჭირათ. ჩამოვარდნილი ქალი დაიჭირეს და შემდეგ ტანზე ზეწარი შემოახვიეს. 47 წლის ქალბატონი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მან მკერდის არეში მიიღო დაზიანება.

რა გახდა ბინაში ხანძრის გაჩენის მიზეზი, უცნობია.

### გერმანიაში უფასო სადილის მომლოდინეთა რიგი პოლიციამ დაშალა



ბერლინის პოლიციამ იძულებით დაშალა 500 ჰიპსტერისგან შემდგარი რიგი, რომლებიც იქ ვეგანური რესტორნის გახსნაზე მივიდნენ.

დაწესებულება დენდი დინერმა თავისი მუშაობის დაწყების პირველ დღეს სტუმრებს უფასო კერძები და სასმელები შესთავაზა. ასეთ მიწვევას, რომელიც რესტორნის მფლობელებმა ფეისბუქით გამოაცხადეს, 800-მდე ადამიანი გამოეხმაურა, რომლებიც ვეგანურ დიეტას მისდევენ.

20 წუთის განმავლობაში რესტორნის კართან რამდენიმე ასეული ადამიანისგან შემდგარი რიგი გაიმართა. ხალხის მასამ, რომელიც რესტორანსა და მის წინ ტროტუარზე ვერ დაეტია, მანქანების სამოძრაო ნაწილი გადაკეტა, რის გამოც ადგილობრივმა პოლიციამ რიგის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. დაწესებულების მფლობელები შეეცადნენ, სამართალდამცავები დაერწმუნებინათ, ქუჩა გადაეკეტათ, მაგრამ მათ, უსაფრთხოების დაცვიდან გამომდინარე, აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ფაჩულიასა და დალასს წაგების უფლება აღარ აქვთ



ძალიან უხეშ, აგრესიულ და ტექნიკური ჯარიმებით სავსე მატჩში ოკლაჰომამ ისევ დაამარცხა დალასი და სერიაში 3:1 დაწინაურდა. ზაზა ფაჩულიას გუნდი თითქმის განწირულია, რადგან ოკლაჰომა სიტიში 85:84 მოგების შემდეგ, შინ ორივე მატჩი დათმო და მეტი წაგების უფლება აღარ აქვს.

ოკლაჰომელებმა პირველი პერიოდი 33:18 მოიგეს, რის შემდეგაც დალასელები თამაშის ბოლომდე ცდილობდნენ ჩამორჩენის აღმოფხვრას, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და შეხვედრა 108:119 დათმეს.

მატჩი ბინძური გამოდგა: კალათბურთელები ერთმანეთს იყვნენ წაკიდებულნი და გაწევ-გამოწევაც ხშირი იყო. ამის გამო გააგდეს მოედნიდან ოკლაჰომელთა ლიდერი კევინ დიურანტი, რომელიც დალასელ ჯასტინ ანდერსონს ეუხეშა. ეს ბოლო წუთზე მოხდა, როცა მატჩის ბედი გარკვეული იყო.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო, მოედანზე 21 წუთი გაატარა და 100-პროცენტიანი სიზუსტით ესროლა. ზაზამ 4-დან 4 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო. 9 ქულასთან ერთად ფაჩულიამ 2 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

სერიის მომდევნო შეხვედრა 26 აპრილს, ოკლაჰომაში გაიმართება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სპორტული შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი; 4. ქარისგან შეგროვილი თოვლი; 7. სახლის უფროსი სვანეთში; 9. დრეკადი ნივთიერება; 11. ჭუჭრუტანიდან შემოსული მზის სხივი; 12. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე; 13. გარეგანი ზემოქმედებით ორგანიზმის დაზიანება; 17. ერთად შეყრილი ხალხი; 18. ქალაქის თავი; 19. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა; 20. პარტიზანი საფრანგეთში.

**შვეულად:** 1. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 2. გრძელი უტარო მათრახი; 3. მზით ხშირად განათებული ადგილი; 5. ქელეხი; 6. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი გადმოცემა; 8. ქრისტეს მონათვლა; 10. კანის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 12. შხამი, საწამლავი; 14. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 15. რისამე ზღვრული ნორმა; 16. ხელოვნებაში, შემოქმედებაში მხატვრული თავისებურებანი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**